

9-16 July  
Misakieli

Training  
Course



# GRASSROOTING



## სახელმძღვანელო

განკუთვნილია  
ახალგაზრდული  
მუშაკებისთვის, რომლებიც  
მუშაობენ ადგილობრივ  
დონეზე, ახალგაზრდულ  
ცენტრებში ან  
ორგანიზაციებში

2021

საქართველო

# გრასრუთინგინგი

ამბრულა

## წინასიტყვაობა

სახელმძღვანელო შექმნილია პროექტ **Grassrooting Youth Work**-ის ფარგლებში. იგი მიზნად ისახავს ახალგაზრდულ საქმიანობაში ევროპის საბჭოს მიდგომებისა და ფასეულებების დანერგვას. ასევე, ახალგაზრდების პრობლემების მოგვარებაზე მიმართული ახალგაზრდული საქმიანობის გაწევას ადგილობრივ დონეზე.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდულ ცენტრებში ან/და ორგანიზაციებში მომუშავე ახალგაზრდული მუშაკებისთვის. მისი უნიკალურობა მდებარეობს არა აქტივობების კრებულში, რომელიც გადმოღებულია ევროპის საბჭოს სხვადასხვა სახელმძღვანელოებიდან, არამედ, იმაში, რომ იგი შემუშავებული და, რაც მთავარია, პრაქტიკაზე დატესტილია ქართველი ახალგაზრდული მუშაკების მიერ, ქართულ რეალობაში არსებული სოცალური/ახალგაზრდული პრობლემების საპასუხოდ. იგი შედგება 12 დღიანი პროგრამისგან, თითო დღეს თითო მთავარი თემატურ აქტივობას მოიცავს.

პროექტი დაფინანსებულია ევროპის საბჭოს ევროპული ახალგაზრდული ფონდის მიერ და ახორციელებს ორგანიზაცია ამბრულა.

### სახელმძღვანელოს თანაავტორები:

1. მედეა ჰავლიაშვილი
2. ჯეიჰუნ გასანოვი
3. თურალ ისმაილოვი
4. საჰვეტ ბედიევი
5. რამაზ ბიგვაჯა
6. ლეილა დაშდამიროვა
7. მიშიკო ჭიბერაშვილი
8. სედა გრიგორიანი
9. ანა ტყემალაძე
10. თამარ ჭიტაძე
11. თაკო ბათილაშვილი
12. ნინი ოთინაშვილი
13. მარიამ გოროზია
14. არმინე ქოსიანი
15. ალინა კობელიანი
16. მელსიდა მარაბიანი
17. ქეთევან კაპანაძე
18. ანა მამულაშვილი
19. ლიზი ქაიხოსროშვილი
20. ელადა ასკეროვა

პროექტის ტრენერები/ფასილიტატორები - ანი გაბელავა, გიორგი აბულაძე, სლავა მეყდოიანი

სახელმძღვანელოს რედაქტორი - სლავა მეყდოიანი

## სარჩევი

როგორ მოვახდინოთ ახალგაზრდების მობილიზირება.....	3
<b>გარემოს დაცვა</b> .....	4
<b>გუნდური</b> .....	5
<b>გაცნობითი და გუნდური შეჭიდულობის აქტივობა</b> .....	6
<b>ენერჯაიზერი</b> .....	6
სახელმძღვანელო - კომპასი .....	9
დასახელება: <b>გვაქვს ალტერნატივები?</b> .....	9
დასახელება: <b>რა ვიცით ადამიანის უფლებების შესახებ</b> .....	12
დასახელება - <b>დაე ყველას აზრი იყოს მოსმენილი!</b> .....	14
სახელმძღვანელო - კომპასიტო .....	16
დასახელება: <b>იცით თუ არა თქვენი უფლებები?</b> .....	16
დასახელება: <b>დაიპყარი ციხე-სიმაგრე</b> .....	22
დასახელება: <b>ბიჭები არ ტირიან! ხოლო გოგონები უფრო საზრიანები არიან</b> .....	25
სახელმძღვანელო ყველა თანასწორი ყველა განსხვავებული .....	28
დასახელება - <b>არამი და ალი</b> .....	28
დასახელება - <b>დისკრიმინაციის გაზიარება</b> .....	29
დასახელება - <b>Dreams (ოცნებები)</b> .....	30
სახელმძღვანელო - Have Your Say.....	32
დასახელება - <b>მონაწილეობის კიბე</b> .....	32
დასახელება - <b>დანები და ჩანგლები</b> .....	33
დასახელება - <b>RMSOS</b> .....	34
<b>ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა - აპლიკაციები</b> .....	35
Kahoot! .....	35
Mentimeter .....	36
Goosechase.....	36
<b>პროგრამა დღიურად გაწერილი</b> .....	37



## როგორ მოვახდინოთ ახალგაზრდების მობილიზება

ახალგაზრდების მობილიზება მიიჩნევა ერთ-ერთ მწვავე გამოწვევად, რაც, დღესდღეისობით, დგას საქართველოში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წინაშე. ბევრ ორგანიზაციას უჭირს პროექტებში თუ ინიციატივებში ახალგაზრდების ჩართვა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი, თუმცა ყველა დაავადებას გააჩნია თავისი წამალი. ჩვენი პროექტის ფარგლებში მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს ქვემოთ მოცემული მიდგომები და საშუალებები, რომელიც შეიძლება გამოადგეს ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელსაც უწევს ახალგაზრდების ნიჭილიზმსა და პასიურობასთან გამკლავება.

რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ახალგაზრდების ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება, თუმცა არსებობს მეთოდები და საშუალებები, რომლებიც ყველა შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული, რათა მოხდეს ადგილობრივი ახალგაზრდების ინფორმირება და მოზიდვა.

### მობილიზების/მოზიდვის **ონლაინ** საშუალებები:

1. **კონტენტი** - პირველი რიგში, საჭიროა ინფორმაციის მიწოდება და ამისთვის მარტივი ენით ხელმისაწვდომი საინფორმაციო კონტენტის შექმნა, მაგ: - პოსტური და მარტივი ტექსტი, ვიდეო მოწოდება (მოკლე 30 წამიანი), გუგლ ფორმისის ლინქის გაზიარება, რათა შეავსონ საკონტაქტო ინფორმაცია.
2. **კომუნიკაციის ინსტრუმენტი/კონტენტი/არხი** - ჩატი - Whatsapp, Viber, Telegram, Messenger, Facebook Group & Page.  
**პრაქტიკული მაგ:** ჩვენს შემთხვევაში, პირველ რიგში გვაკეთებთ გუნდის წევრობის მსურველთა სააპლიკაციო ფორმა, ანუ გამოვაცხადებთ წევრების მიღება. ამისთვის შევქმენით ვიდეო ან გუგლ ფორმისი და გავავრცელეთ წინასწარ შექმნილ ზემოთ ჩოთვლილ ონლაინ საშუალებებში. გვექონდა, ასევე, ინფორმაცია დაინტერესებული ახალგაზრდების შესახებ და, შეტყობინებების, ზარების, ადგილობრივი მედიის დახმარებით, მივაწოდებთ დეტალური ინფორმაცია ახალგაზრდებს. ასევე, გამოვიყენეთ ნაცნობობა-ნათესაობის ინსტიტუტი და მათი დახმარებით გავავრცელეთ ინფორმაცია ბევრ ადამიანთან.
3. **ადრესატი?** - ახალგაზრდები, მშობლები (ეს მნიშვნელოვანია), პედაგოგები და ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი.
4. **ვინ?** - ადგილობრივი აქტიური ახალგაზრდები ანუ ორგანიზაციის/ცენტრის წევრები

### მობილიზების/მოზიდვის **ოფლაინ** საშუალებები:

1. **ლოკაცია დასახლება** - საგანმანათლებლო დაწესებულებები - სკოლა, კოლეჯი და ა.შ.  
**პრაქტიკული მაგ:** აქაც გამოვიყენეთ ნათესაობის ინსტიტუტი და ნაცნობ მასწავლებლებთან ერთად კლასში შევედით, რადგან ჩვენი საქმის, სამომავლო გეგმების შესახებ მოკლე მიმოხილვა გაგვკეთებინა, მოვაწყვეთ მშობლებთან შეხვედრა, შემდეგ დაინტერესებული ბავშვები დავარეგისტრირეთ და კონკრეტული შეხვედრის დღე და ადგილი ვუთხარით. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც სკოლაში არ შეგვიძვეს და მოგვიწია სკოლის ჭიშკართან დალოდება ბავშვების გამოსვლას. მინდა გითხრათ, რომ ეს მიდგომაც ეფექტური გამოდგა და შევძელით ინფორმაციის გავრცელება. ამის გარდა, ნათესავეების დახმარებით, შევძელით მათი შვილების მობილიზება.
2. **ადრესატი ?** - ახალგაზრდები, პედაგოგები და მშობლები
3. **ვინ?** - ადგილობრივი აქტიური ახალგაზრდები ანუ ორგანიზაციის/ცენტრის წევრები

## გარემოს დაცვა

**მოკლე აღწერა** - ახალგაზრდულ საქმიანობაში გარემოსდაცვითი მიდგომების დანერგვის შესახებ

ახალგაზრდული საქმიანობა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა, გარკვეულ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს გარემოზე. ამ ნაწილში თქვენ გაიცნობთ იმ მიდგომებს და პრაქტიკულ რჩევებს, რითაც შეძლებთ გარემოზე ზეგავლენის შემცირებას.

გარემოსდაცვითი მიდგომა მოიცავს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობაში შენარჩუნებას და გარემოსადმი დაზიანებების აღმოფხვრას. აქ წინა პლანზე დგას ადამიანის მიერ გამოწვეული ზიანის შეზღუდვა და გარემოზე ზემოქმედება, შესაბამისად ახალგაზრდა მუშაკის საქმიანობისათვის და პროცესების სწორად წარმართვისთვის აუცილებელია ამ მხრივ ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებში.

**1. ტრანსპორტირება** - მანქანისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სარგებლობისგან მაქსიმალურად თავის შეკავება (განსაკუთრებით, თუ ახლო მანძილზე ხდება გადაადგილება) გამოვიყენოთ ველოსიპედი ან ვიაროთ ფეხით.

### 2. კვება

1. ადგილობრივი საკვებით სარგებლობა
2. ჯანსაღი საკვები, არაორგანული საკვები მენიუდან უნდა იქნას ამოღებული
3. გამოვიყენოთ ნაკლები ხორცი
4. დავზოგოთ წყალი
5. ნარჩენების კომპოსტირება, პლასტიკის შეფუთვით საკვების მინიმუმამდე დაყვანა
6. ერთჯერადი პლასტიკის - ჭიქების, თეფშების, დანა ჩანგლების ჩანაცვლება მრავალჯერადით

### 3. სასტუმრო - ტრენინგისთვის განკუთვნილი სასტუმრო, სადაც:

1. ხდება პოლიეთილენის ნაკლები ან/და არ გამოყენება და ერთჯერადი ჭურჭლის მრავალჯერადით ჩანაცვლება
2. გააჩნია ენერგო ეფექტურობა, ეკო ნათურები და თბოიზოლაცია და ა.შ.
3. ხდება ნარჩენების გადამუშავება და/ან ხელახლა გამოყენება

### 4. ახალგაზრდული ცენტრი/სივრცე

1. უარი პლასტიკზე და პოლიეთილენზე - მრავალჯერადი ჭურჭლის გამოყენება
2. შეძლებისამებრ, ჰქონდეს ენერგო ეფექტურობა, ეკო ნათურები და თბოიზოლაცია და ა.შ.
3. შეგროვდეს და ჩაბარდეს ნარჩენები და/ან, შეძლებისდაგვარად, მოხდეს ხელახლა გამოყენება

### 5. საკანცელარიო და სხვა მასალები

1. მაკულატურის და სხვა ნარჩენის შეგროვება და ჩაბარება, ასევე მეორედ გამოყენება
2. ბიო პროდუქტის გამოყენება ( კალმები, ფანქრები, ცარცები)
3. თამაშები, ცოცხალი ურთიერთობები (საკანცელარიო ნივთების გამოყენების შემცირება)



## გენდერი

გენდერული თანასწორობა და, ზოგადად, გენდერული ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია წამრატებული და სამართლიანი ახალგაზრდული საქმიანობისთვის. ამ ნაწილში თქვენ გაეცნობით ევროპის საბჭოს მიერ მიღებული კონკრეტული რჩევებსა და მიდგომებს.

**განმარტება: გენდერი** - ესაა კულტურული და სოციალური კონსტრუქტი, რომელიც ქალის და მამაკაცის სოციალურად ნასწავლ ქცევების თვისებების და დამოკიდებულებების აღსანიშნავადაა მეცნიერებაში შემოტანელი. იგი გულისხმობს სოციალურ მახასიათებლებს, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა კულტურაში და საზოგადოებაში სხვადასხვაგვარად ადამიანები განსაზღვრავენ ცნებებს „ქალი“ და „კაცი“. გენდერმა, როგორც სოციალურმა მოვლენამ მნიშვნელობა ფემინისტური მოძრაობის ზეგავლენით შეიძინა და თავდაპირველად გამოიკვეთა ქალთა დისკრიმინაციის საკითხი. შესაბამისად აღნიშნული ტერმინი დაკავშირებულია უამრავ სტერეოტიპთან, რომელიც იწვევს დისკრიმინაციას, ბულინგს, სექსიზმს და ა.შ

1998 წელს ევროპის საბჭომ მიიღო რეკომენდაცია გენდერული ინტერგაციის შესახებ, რომელიც ემყარება წინაპირობას, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა ადამიანის უფლებების დაცვისა და ზოგადად დემოკრატიული პროცესების ფუნქციონირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ევროპული ახალგაზრდული ფონდი (EYF) აქტიურად უწყობს ხელს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას ახალგაზრდულ პრექტებში, რომელსაც თავად უჭერს მხარს. იგი მიზნად ისახავს გენდერული საკითხების შესახებ სრულ ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას.

გენდერული პერსპექტივის საკვანძო მიდგომები:

### 1. მრავალფეროვნება

1. გენდერული ბალანსი ჯგუფში
2. სრული ინფორმირება „გენდერის“ შესახებ
3. ერთმანეთის გაცნობა
4. როლური თამაში (სხვისი იდენტობის მორგება)
5. დისკუსია სტერეოტიპებზე

### 2. შერჩევა

1. შესაფერისი და ტოლერანტული გარემო
2. სწორი ინფორმაციის მიწოდება
3. შესაბამისი მიმართვა
4. ინკლუზიური გარემო/აქტივობები
5. თანაბარი მონაწილეობა

### 3. უსაფრთხო გარემო

1. გენდერული ბალანსი ჯგუფში
2. საკვანძო ტერმინების ანალიზი: დისკრიმინაცია/სექსიზმი/ბულინგი
3. წესების შემოღება მიმართვასთან დაკავშირებით
4. გენდერი მუშაობა

4. **გაზომე გენდერული დრო** - აქტივობებისას თანაბარი დრო ყველას აზრის გამოხატვის პროცესში, რაც გულისხმობს განურჩევლად განსხვავებობისა ერთნაირად მოპყრობა.

## გაცნობითი და გუნდური შეჯიღულობის აქტივობა

გუნდის შეკვრისა და მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად გაცნობითი აქტივობების ჩატარება ძალიან ეფექტური საშუალებაა. ქვემოთ ორი აქტივობა გვაქვს ჩამოწერილი რომელიც პროექტის მონაწილეებმა შეარჩიეს სახელმძღვანელოსთვის.

### აქტივობა #1

- დასახელება: დამაწერე სახელი
- მონაწილეთა რაოდენობა: 10-30
- აქტივობის ხანგრძლივობა: 5-10
- აქტივობისთვის საჭირო მასალა: წებოვანი ქაღალდი, საწერი კალამი
- როგორ უნდა მოემზადოთ აქტივობისთვის: მონაწილეებმა უნდა მიიკრან ხელზე წებოვანი ქაღალდი და გახაზონ იმდენი მონაკვეთი, რამდენი ასოცაა მათ სახელში.
- აქტივობის მოკლე აღწერა: მონაწილეების დავალებაა მოაგროვონ ასოები საკუთრი სახელის შესადგენად, აუცილებელი პირობაა, რომ ერთი მონაწილე აწერს მეორეს მხოლოდ იმ ასოს, რომელიც თავის სახელშიცაა, რადგან მანაც უნდა მიიღოს იგივე ასო რაც სხვას დააწერა. ვინც პირველი მოაგროვებს სახელის ყველა ასოს ის იმარჯვებს

### აქტივობა #2

- დასახელება: გამოიცანი ტყუილი
- მონაწილეთა რაოდენობა: 10-30
- აქტივობის ხანგრძლივობა: როდესაც ერთი სრული წრე დამთავრდება
- აქტივობისთვის საჭირო მასალა: სივრცე 30 კვმ, სკამები
- როგორ უნდა მოემზადოთ აქტივობისთვის: მონაწილეები დასხდებიან სკამებზე, ერთი ნებისმიერი მსურველი იწყებს თამაშს
- აქტივობის მოკლე აღწერა: მონაწილე ამბობს სახელს და სამ ფაქტს თავის შესახებ, რომლიდანაც ერთი ტყუილი იქნება და დანარჩენმა მონაწილეებმა უნდა ამოიცნონ, რომელია ტყუილი სამი დასახებული ფაქტიდან.

## ენერჯაიზერი

მხიარული ენერჯაიზერები ყოველთვის სასარგებლოა ჯგუფის გამოსადვიებლად დადღის შემთხვევაში და პოზიტიური გარემოს/განწყობის შესაქმნელად. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი 12 დღე/აქტივობის ფარგლებში რეკომენდირებულია სულ მცირე თითო ენერჯაიზერის ჩატარება თითო დღეს, შესაბამისად ქვემოთ მოცემულია 12 ენერჯაიზერის ინსტრუქცია.

### ენერჯაიზერი #1

1. დასახელება: ბზიკობანა
2. მონაწილეთა რაოდენობა: 10-20
3. ხანგრძლივობა: 5-10 წუთი
4. საჭირო მასალა: სკამები, მონაწილეები
5. აღწერა: წრეზე, ერთმანეთთან ახლოს ვაწყობთ სკამებს, მონაწილეები სხდებიან და ერთით მეტი სკამი რჩები წრეში, წრის შიგნით, ერთი მონაწილე რჩება ფეხზე, ხოლო მონაწილეები რომლებიც ზიან, გადასხდნენ სკამზე სინქრონულად, ისე რომ ფეხზე მდგარმა მონაწილემ ვერ



მოსაწროს ადგილის დაკავება. თუ მოსაწრებს დაჯდომას მის მარჯვნივ მჯდომი მონაწილე გადაინაცვლებს წრის შუაგულში.

### **ენერჯაიზერი #2**

1. **დასახელება:** მე და ჩემი საყვარელი მოძრაობა
2. **მონაწილეთა რაოდენობა:** შეზღუდული არ არის
3. **ხანგრძლივობა:** როდესაც ერთი სრული წრე დასრულდება
4. **საჭირო მასალა:** არაფერი (სურვილი და ღიმილი :დ)
5. **მოკლე აღწერა:** მონაწილეები ვდგებით წრეზე, სურვილისამებრ ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია დაწყება. მონაწილე ამბობს თავის სახელ და გვაჩვენებს საყვარელ მოძრაობას. ამის შემდეგ მის გვერდით მდგომი აკეთებს იგივეს და იმეორებს წინა ადამიანის სახელსა და საყვარელ მოძრაობას. ყველა შემდგომი მონაწილე იმეორებს იგივეს (თავის სახელს, საყვარელ მოძრაობას) და ამავდროულად ამბობს მის წინ მდგომი ყველა მონაწილის სახელსა და საყვარელ მოძრაობას.

### **ენერჯაიზერი #3**

1. **დასახელება:** ვინ არის ცეკვის ლიდერი
2. **მონაწილეთა რაოდენობა:** შეზღუდული არ არის
3. **ხანგრძლივობა:** 7-10 წუთი
4. **მოკლე აღწერა:** მონაწილეები დგებიან წრეზე და ერთ-ერთი მონაწილეს სურვილისამებრ შეუძლია გახდეს მოხალისე. მოხალისედ არჩეული პირი ტოვებს ოთახს ცოტახნით. წრეში დარჩენილი მონაწილეებიდან ვირჩევთ ერთ ადამიანს და ვიმეორებთ იგივე მოძრაობას რასაც აკათებს ის. შემდგომ, გარეთ გასული მონაწილე ბრუნდება ოთახში და ცდილობს ამოიცნოს ჩვენს მიერ არჩეული ცეკვის ლიდერი და ამოცნობის შემდეგ ვიმეორებთ იგივე პრინციპს.

### **ენერჯაიზერი #4**

1. **დასახელება:** დრაკონი და პრინცესა
2. **მონაწილეთა რაოდენობა:** 15+
3. **ხანგრძლივობა:** 7-10 წუთი
4. **საჭირო მასალა:** მხოლოდ მონაწილეები
5. **მომზადება:** მონაწილეები დაიყოფა ორ ჯგუფად პრინცესა და დრაკონი. დადგებიან წრეზე, დრაკონი უნდა იდგეს პრინცესის უკან.
6. **მოკლე აღწერა:** მონაწილეები დგებიან წრეზე ისე რომ ყველა პრინცესას უკან ედგეს საკუთარი დრაკონი, მხოლოდ ერთი დრაკონი იქნება პრინცესას გარეშე და შეეცდება მოიტაცოს სხვა დრაკონს პრინცესა. ვის სახელსაც დაიძახებს დრაკონი ის უნდა გაიქცეს მასთან, ხოლო ამ პრინცესას დრაკონი უნდა ეცადოს მის დაჭერას რადგან თუ გაექცა თვითონ დარჩება პრინცესას გარეშე.

### **ენერჯაიზერი #5**

1. **დასახელება:** პრინცესა, დრაკონი, რაინდი.
2. **მონაწილეთა რაოდენობა:** შეზღუდული არ არის
3. **ხანგრძლივობა:** 10+
4. **საჭირო მასალა:** გამყოფი ზოლი, სკოჩით ან რამე თოკით რომ გაველოს
5. **მომზადება:** მონაწილეებს გავყოფთ 2 თანაბარ ჯგუფად, ზოლის ერთ მხარეს დგება ერთი გუნდი და მეორე მხარეს მეორე ჯგუფი. ჯგუფებს გავაცნობთ შემდეგ წესებს - პრინცესა კლავს რაინდს, რაინდი კლავს დრაკონს, დრაკონი კლავს პრინცესას. ყველა პერსონაჟს აქვს თვისი მოძრაობა - დრაკონი პირის გაღების ნასახი ხელების მოძრაობა, პრინცესა ნაზი ჩაჯდომა, რაინდი ხმლის ქნევა ორი ხელი ერთად.



**6. მოკლე აღწერა:** ჯეირანის თამაშის პრინციპის მსგავსად, გუნდები ინდივიდუალურად ირჩევენ სასურველ პერსონაჟს (მოძრაობას), განლაგდებიან გამყოფ ზოლთან და ერთდროულად (ფასილიტატორის თვლაზე 3,2,1) განასახიერებენ არჩულ მოქმედებას. თუ ერთი გუნდი იქნება პრინციპსა მეორე კი ღრაკონი, ამ შემთხვევაში იმარჯვებენ ღრაკონები და შეეცდებიან მეტი პრინციპსა გადაიტაცონ თავის მხარეს ისე რომ გამყოფ ხაზს არ გადასცდნენ. პრინციპებმა უნდა გადაიტაცონ რაინდები, ხოლო რაინდებმა ღრაკონები. თუ ორივე გუნდს ერთიდაიგივე მოქმედება ექნება აზრი არ აქვს და გადადიან შემდეგ მოქმედებაზე.

#### **ენერჯაიზერი #6**

1. **დასახელება:** პინგვინი და ფლამინგო
2. **მონაწილეთა რაოდენობა:** არაა შეზღუდული მინიმუმ 10
3. **ხანგრძლივობა:** 10 წუთი
4. **საჭირო მასალა:** სივრცე მინიმუმ 30 კვ
5. **მომზადება:** მონაწილეებს ვაჩვენებთ ფლამინგოს და პინგვინის მოძრაობას.
6. **მოკლე აღწერა:** თავდაპირველად ერთი მონაწილე იქნება ფლამინგო და მან უნდა დაიჭიროს პინგვინები, რის შემდეგაც პინგვინებიც ფლამინგოები ხდებიან. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა ფლამინგო არ გახდება.

#### **ენერჯაიზერი #7**

1. **დასახელება:** ჯეირანის ტურნირი
2. **მონაწილეთა რაოდენობა:** მინიმუმ 8
3. **ხანგრძლივობა:** 5-10 წუთი
4. **საჭირო მასალა:** სივრცე - მინიმუმ 20 კვ
5. **მომზადება:** მონაწილეებს დავაწყვილებთ და ითმაშებენ ჯეირანს 3 ქულამდე
6. **მოკლე აღწერა:** მონაწილეები თამაშობენ წყვილებში, ვინც წააგებს ის გახდება გამარჯვებულის ფანი და უგულშემატკივრებს სხვასთან "ორთაბრძოლაში". თამაშის ბოლოს კი რჩება ორი მონაწილე.

#### **ენერჯაიზერი #8**

1. **დასახელება:** სკამებით თამაში
2. **მონაწილეთა რაოდენობა:** 8-20
3. **ხანგრძლივობა:** 7-10 წუთი
4. **საჭირო მასალა:** სკამები მონაწილეთა რაოდენობის შესაბამისად
5. **მომზადება:** სკამები უნდა დავალაგოთ წრეზე
6. **მოკლე აღწერა:** როდესაც თითოეული სკამის უკან იდგება ერთი მონაწილე, სკამებს დაიჭერენ ნახევრად აყირავებულ მდგომარეობაში და 10 ჯერ უნდა გადაინაცვლონ მის მარჯვნივ მდგომ სკამთან ისე, რომ სკამები არ წაიქცეს. თუკი გადაყირავდება ერთი სკამი, თვლა იწყება თავიდან. ეს თამაში გარდა ენერჯაიზერისა მონაწილეებს აჩვენებს გუნდურობის არსს და ნათლა დაინახავენ, რომ ერთი მონაწილის სეცდომაც კი მთელს გუნდზე აისახება.

#### **ენერჯაიზერი #9**

1. **დასახელება:** ტოსტერი, ლომი და ჯეიმს ბონდი
2. **მონაწილეთა რაოდენობა:** შეუზღუდავი
3. **ხანგრძლივობა:** 7-10 წუთი
4. **საჭირო მასალა:** სივრცე 20 კვ
5. **მომზადება:** მონაწილეები დგებიან წრეზე
6. **მოკლე აღწერა:** თამაშს იწყებს ერთ მონაწილე და ირჩევს მოქმედებას (ტოსტერს, ლომს ან ჯეიმს ბონდს) სხვა მონაწილესათვის, რომელმაც უნდა განასახიეროს მითითებული მოქმედება.

შემდეგ ეს მონაწილე აარჩევს სხვისთვის მოქმედებას და ასე გაგრძელებს თქვენი სურვილისდა მიხედვით.

### **ენერჯაიზერი #10**

- 1. დასახელება:** დაითვალე სწრაფად
- 2. მონაწილეთა რაოდენობა:** შეუზღუდავი
- 3. ხანგრძლივობა:** 10 წუთი
- 4. საჭირო მასალა:** სივრცე 20 კვ
- 5. მომზადება:** მონაწილეები დადგებიან წრეზე, და დაითვლიან სწრაფად 1-7 -მდე.
- 6. მოკლე აღწერა:** მონაწილეს ვისაც მოუწევს რიცხვი 3, უნდა შემოკრას ტამი და არ თქვას ეს რიცხვი. ვისაც მოუწევს რიცხვი 5 უნდა ჩაიმუხლოს ხოლო ვისაც 7 შეხვდება უნდა ახტეს. ვისაც შეეშლება ის ეთიშება თამაშს

### **ენერჯაიზერი #11**

- 1. დასახელება:** მოამზადე პიცა
- 2. მონაწილეთა რაოდენობა:** შეუზღუდავი
- 3. ხანგრძლივობა:** 10 წუთი
- 4. საჭირო მასალა:** სივრცე 20 კვ
- 5. მომზადება:** მონაწილეები დგებიან წრეზე ერთმანეთის ზურგის უკან
- 6. მოკლე აღწერა:** მონაწილეებმა, მათ წინ მდგომის ზურგზე შესაბამისი მოძრაობით უნდა მოზილონ ცომი, დაჭრან ბოსტნეული, მოაყარონ ფქვილი, დაალაგონ ძეხვი.

### **ენერჯაიზერი #12**

- 1. დასახელება:** დახატე პორტრეტი
- 2. მონაწილეთა რაოდენობა:** შეუზღუდავი
- 3. ხანგრძლივობა:** 5-10 წუთი
- 4. საჭირო მასალა:** წებოვანი ქაღალდი, კალამი
- 5. მომზადება:** მონაწილეებს მივცეთ ინდივიდუალური თაბახის ფურცლები და კალამი
- 6. მოკლე აღწერა:**
  - 1) ფურცელზე ხატავენ ჩარჩოს და აწერენ თავიანთ სახელსა და გვარს
  - 2) ყველა მონაწილე გაცვლის ფურცლებს და დახატავენ თვალს
  - 3) ისევ გაცვლიან და დახატავენ ტუჩებს
  - 4) ისევ გაცვლიან და ხატავენ ცხვირს და წარბებს და ა.შ
  - 5) ბოლო ეტაპზე კი ყველა პორტრეტი თავის პატრონს უბრუნდება

### **სახელმძღვანელო - კომპასი**

“კომპასი” ესაა ევროპის საბჭოს მიერ გამოცემული სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების თემატიკაზე. წიგნი შეიქმნა ადამიანის უფლებების განათლების სფეროში ევროპის საბჭოს ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატის ახალგაზრდული პროგრამის მონაწილეობით, რომელიც შეიქმნა 2000 წელს ადამიანის ევროპული კონვენციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებების პოპულარიზაცია და ახალგაზრდული მუშაობის ცენტრალურ ნაწილად გარდაქმნა. კომპასი შეიცავს საგანმანათლებლო, ინტერაქტიულ აქტივობებს ადამიანის უფლებების თემატიკაზე.

დასახელება: **გვაქვს ალტერნატივები?**

**აქტივობა #1**

**თემატიკა:** მშვიდობა, ბავშვები, ჯანმრთელობა

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი



**მონაწილეთა რაოდენობა:** 9-24 (3 ჯგუფი)

**უფლება**

- დამამცირებელი მოპყრობისგან გათავისუფლება
- ღირსების უფლება
- ყველა სახის ფიზიკური თუ მენტალური ძალადობისგან დაცვის უფლება

**ამოცანები:**

- ბულინგის გამომწვევი მიზეზების შესახებ ცოდნის გაღრმავება და გააზრება
- პრობლემასთან გამკლავების უნარების განვითარება
- ბულინგის მსხვერპლთა მიმართ ემპათიის უნარის განვითარება

**მატერიალები/რესურსები**

- ამობეჭდილი სცენარები როლური თამაშისთვის
- ამობეჭდილი ნამდვილი ისტორიების ფურცელი
- სივრცე როლური თამაშისთვის

**ინსტრუქცია**

1. გააცანი მონაწილეებს აქტივობა. ახსენი, რომ ისინი იმუშავებენ პატარა ჯგუფებში, რომ გაითამაშონ მოკლე სცენები ბულინგის თემაზე.
2. გამართე მოკლე გონებრივი იერიშის სესია თემაზე “რა არის ბულინგი?” იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველა თანხმდება ბულინგის დეფინიციაზე, იცის მისი განსხვავებული ფორმები და იცის, რომ ბულინგი შეიძლება მოხდეს ნებისმიერ სკოლაში, კოლეჯში, კლუბში, ორგანიზაციაში ან სამუშაო სივრცეში.
3. დაყავი მონაწილეები 3 ჯგუფად და გადაანაწილე თითო სცენა თითო ჯგუფში. მიეცი მათ 15 წუთი, რომ მოამზადონ მათი როლური თამაშები.
4. როცა მზად იქნებიან, კითხე თითოეულ ჯგუფს, წარმოადგინონ თავისი სცენა.
5. არ გასცეთ კომენტარები, სანამ ყველა ჯგუფი არ წარმოადგენს საკუთარ სცენას, შემდეგ კი დაიწყეთ პლენარული დისკუსია.

**დებრიფინგის კითხვები:** დებრიფინგი იწყება მაშინ, როცა ყველას სცენას ვნახავთ.

**კითხვები:** საიდან ჰქონდათ ჯგუფებს მატერიალები იმისთვის, რომ საკუთარი სცენარები განევითარებინათ? ეს ფილმებიდან და წიგნებიდან აიღეს, თუ საკუთარი გამოცდილებიდან? იყო სცენები რეალისური? პირველ სცენაში, რომელი ხალხის მიერ ნათქვამი ფრაზები იყო კონსტრუქციული და ეხმარებოდა სიტუაციას და რომლები უშლიდა ხელს?

მე - 2 სცენასთან დაკავშირებით, რამდენად ადვილია გულწრფელად საუბარი მეგობართან, რომელიც, ასევე, არის მოძალადე. ზოგადად, რა ტექნიკებს ექნება დადებითი ეფექტი და რა ტექტიკას ექნება ნეგატიური ეფექტი?

მე - 3 სცენასთან დაკავშირებით, რამდენად ადვილია გულწრფელად ისაუბრო იმ მეგობართან, რომელიც ძალადობს?

რა არის საუკეთესო გზა მსხვერპლისთვის მისაღები გადაწყვეტილებების მოსაძებნად?

*ახლა სთხოვე სამ მონაწილეს ნებაყოფლობით წაიკითხონ სამი "რეალური ისტორია".*

*კომენტარი გააკეთე სცენების შესახებ და შემდეგ ისაუბრე ბულინგის მიზეზებზე, ასევე, იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეს იყოს დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან.*

- როგორ ფიქრობთ, როგორი გრძნობაა, როცა გჩაგრავენ?



- არის თუ არა დაჩაგრული პირი პასუხისმგებელი იმაზე, რომ დაჩაგრეს?
- რატომ ძალადობენ მოძალადეები? მაგალითად, ცდილობენ რაიმეს დამტკიცებას ხალხზე ძალადობით?
- არის თუ არა ბულინგი ძალადობის ფორმა?
- არის თუ არა ბულინგი ძალაუფლებასთან კავშირში?
- გარდაუვალია ბულინგი?
- თუ თქვენ მეგობრობთ ვინმესთან, ვისაც აშინებენ, უნდა შეატყობინოთ ეს სპეციალურ ორგანოს, მიუხედავად იმისა, რომ მეგობარმა ნდობით გითხრათ მათი პრობლემის შესახებ?
- რა არის ყველაზე გავრცელებული ცრურწმენები იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ძალადობენ?
- ვინ არის პასუხისმგებელი ბულინგის პრობლემის კონტროლზე?
- რას გააკეთებდით, რომ ყოფილიყავით მოძალადე?
- რა უნდა გაკეთდეს მოძალადეებთან? როგორ შეიძლება მათ შეწყვიტონ ბულინგი? უნდა დაისაჯონ ისინი?
- ადამიანის რომელ უფლებებს შეეხო ეს შემთხვევები?

**რჩევა:** იმისათვის რომ ეს კითხვები არ დაგავიწყდეთ ამოწერეთ/ამოებუქდეთ რა განხილვისას რიგრიგობით დასვით.

**ვარიაცია:** როლის თამაშის ნაცვლად, სამ ჯგუფს შეუძლია გააანალიზოს თითოეული სცენა და ახსნას, თუ როგორ გადაწყვეტენ ისინი პრობლემას.

შეგიძლიათ კონცენტრაცია მოახდინოთ ერთ, რომელიმე სცენაზე და თითოეულ ჯგუფს მიანიჭოთ იგივე სამუშაო სცენარი.

ამრიგად, თითოეული ჯგუფი წარმოგიდგინთ სცენარის საკუთარ ვერსიას, მათი განსხვავებული შესაძლო გადაწყვეტილებებით და ალტერნატივებით. ამ მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ თქვენ გექნებათ უფრო მეტი ხელვა ამ ერთ სცენარში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ.

თუ დრო გაკლდებათ ან როლის სათამაშოდ არ გაქვთ ადგილი, შეგიძლიათ გამოიყენოთ რეალური ისტორიები, როგორც მცირე ჯგუფებში განსახილველი შემთხვევები. სთხოვეთ ხალხს იფიქრონ სიტუაციებზე და შემოგთავაზონ შესაძლო კონკრეტული სიტუაციები და ალტერნატივები და დაგანახონ, თუ რას გააკეთებდნენ ისინი, რომ იყვნენ დაბულინგებულები.

### **მიმაგრებული დოკუმენტები**

**სცენა 1: მარიამის ისტორია** - "მე ვარ 12 წლის და მე მძულს სკოლაში სიარული, რადგან არავის ვუყვარვარ. არიან ბავშვების ჯგუფი, რომლებიც სულ ჩემს სახელს ახსენებენ. ისინი ამბობენ, რომ მე ვარ მახინჯი, მსუქანი და ჩემს მშობლებს ჩემი უნდა სცხვენოდეთ. ჩემმა საუკეთესო მეგობარმა ჩემთან ურთიერთობა შეწყვიტა და უფრო უარესი, იმ ჯგუფს დაუახლოვდა. მე მძულს ის. მართლ ვარ და მეშინია, რომ რასაც ისინი ამბობენ ჩემი მშობლების შესახებ სიმართლეა"

**ანიტას ისტორია** - მე ახლახანს გადმოვედი ახალ სკოლაში და პირველივე დღიდან ვიგრძენი, რომ მოსწავლეების ნაწილმა ცუდი თვალთ შემომხედა. მივხვდი, რომ მათ შურდათ ჩემი, რადგან მე ბიჭებში ძალიან პოპულარული ვიყავი. დღეს, მე ვიპოვე პატარა წერილი ჩემს მაგიდაზე, სადაც ისინი მე მაშინებდნენ. ისინი მირეკავენ სახლში და მემუქრებიან. მათ მოიპარეს ჩემი წიგნები. წინა კვირას საპირფარეო ამედევნენ და მიყვირეს, დანით დამემუქრნენ და მომთხოვეს, რომ სხვა სკოლაში უნდა გადავსულიყავი. მეტის ატანა არ შემიძლია. შეშინებული ვარ და გაბრაზებული. ვცადე მესაუბრა მათთან პრინციპულად, მაგრამ მათ არ სურთ ჩემი მოსმენა. არ ვიცი რა გავაკეთო?"



**ანდრიას ისტორია** - ჩემმა საუკეთესო მეგობარმა მითხრა, რომ ვიღაცა მას ცუდად ეპყრობოდა სკოლაში. მე კი გადაწყვიტე მას დავხმარებოდი და მესაუბრა მათთან. მას შემდეგ, რაც ეს მოხდა, მათ დაიწყეს ჩემი შეწუხება. ეხლა ორივე ბუღინგის ობიექტები ვართ. ისინი დაგვცინიან, ბინძურად გვეთამაშებიან, გვცემენ და გვამცირებენ. ორივემ გადაწყვიტეთ რომ ენაზე კბილი დაგვჭირა, რადგან გვეშინია რომ მდგომარეობა უფრო არ გაუარესდეს, თუ ვინმეს ვეტყვით."

**სცენა 1** - მოსწავლეს ცდილობს მიაკითხოს კომპეტენტურ პირებს და აუხსნას, რომ მისი კლასელი არის ბუღინგის ობიექტი. ღირექტორი არის ავტორიტარი და ტრადიციული. ღირექტორი აცხადებს, რომ მისი ავტორიტეტი დაბალია და მის სიტყვას ძალა არ გააჩნია მოსწავლეებზე ამ დღეებში. კლასის დამრიგებელს არ სურს პასუხისმგებლობის ხელში ადება. სხვა მოსწავლეებები სერიოზულად არ აღიქვამენ აღნიშნულ პრობლემას და ვერ აცნობიერებენ მჩაგვრელის ქცევის უკან რა დგას.

**სცენა 2** - მოსწავლეების ჯგუფი ცდილობს ესაუბროს მეგობარს, რომელიც სხვა მოსწავლეს აბუღინებს.

**სცენა 3** - სხვადასხვა მოსწავლეები შეიკრიბნენ ერთად, რათა ესაუბრათ მეგობარზე, რომელიც განდა ჩაგვრის ობიექტი უფროსკლასელების მიერ. მათ სურთ დაეხმარონ მეგობარს და გაანალიზონ ყველა არსებული გამოსავალი, რათა დაეხმარონ მას.

## **დასახელება: რა ვიცით ადამიანის უფლებების შესახებ**

### **აქტივობა #2**

**თემები:** ადამიანის ზოგადი უფლებები, ბავშვები, პიროვნების უსაფრთხოება

**მონაწილეთა რაოდენობა:** 8 და მეტი

**ხანგრძლივობა:** 20 წუთი

**შესატყვისი უფლებები:** ადამიანის ნებისმიერი უფლება

### **ამოცანები**

- ცოდნა, რომ ადამიანის უფლებები აქტუალურია ყველასათვის და ყველგან
- მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება
- სხვა ადამიანების და მათი აზრის პატივისცემის დამკვიდრება

### **საჭირო მასალა**

- ვიქტორინის ფურცლის ერთი ასლი
- კალამი თითოეული მონაწილისათვის
- დიდი ზომის ფურცელი და მარკერები

### **მომზადება**

- გააკეთეთ ვიქტორინის ასლი დიდი ზომის ფურცელზე
- გაეცანით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოთვლილ ძირითად უფლებებს და ბავშვთა უფლებების კონვენციას. მოიძიეთ ინტერნეტში.

### **ინსტრუქცია**

1. დაარიგეთ ვიქტორინის ფურცლები და კალმისტრები
2. განმარტეთ, რომ მონაწილეებმა უნდა იპოვონ პარტნიორი და დაუსვან მათ ერთი შეკითხვა ვიქტორინის ფურცლიდან. პასუხის სიტყვა-გასაღებები მოცემული უნდა იყოს შესამაბის გრაფაში.
3. შემდეგ წყვილი შორდება ერთმანეთს და ეძებენ ახალ პარტნიორებს.



4. თამამის მიზანია არა მხოლოდ პასუხის გაცემა თითოეულ გრაფაში დასმულ შეკითხვაზე, არამედ სხვადასხვა მონაწილეების პასუხების მიღება თითოეულ შეკითხვაზე.

5. ვინც პირველი მიიღებს ყველა პასუხს ყველა შეკითხვაზე და დაიძახებს “ბინგო!”, ჩაითვლება გამარჯვებულად.

6. შემდეგ გადადით დისკუსიაზე. აიღეთ შეკითხვა პირველი გრაფიდან და სთხოვეთ მოთამაშეებს რიგრიგობით გააცნონ ჯგუფს მათ მიერ მიღებული პასუხები. ჩამოწერეთ სიტყვა-გასაღებები დაფის დიდ ფურცელზე. ამ ეტაპზე ნებადართულია მოკლე კომენტარები.

7. როდესაც ცხრილი შეივსება, დაუბრუნდით პასუხებს და უფრო ამომწურავად განიხილეთ თითოეული გრაფა.

### **ღებრიფინგი**

- იყო ყველა შეკითხვა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული? კერძოდ რომლებთან?
- რომელი შეკითხვა იყო ყველაზე ძნელად საპასუხო? რატომ?
- რომელი შეკითხვები იყო ყველაზე წინააღმდეგობრივი?
- რატომ არის უფლებები წინააღმდეგობრივი?
- საიდან იცოდნენ მონაწილეებმა ადამიანის უფლებებისა და მათი დარღვევების შესახებ? ენდობიან ისინი ინფორმაციის წყაროს?

**რჩევები:** თავისუფლად შეცვალეთ ნებისმიერი შეკითხვა, რათა მიუსადაგოთ სავარჯიშო ჯგუფის ინტერესებს და დონეს. თითოეულ შეკითხვაზე მონაწილეების პასუხების ჩაწერის დროს ჩაიწერეთ მხოლოდ სიტყვა-გასაღებები. ცხრილის არსი მდგომარეობს მოგვიანებით დისკუსიის გაადვილებაში. ყოველი რაუნდის შემდეგ მოკლედ შეეხეთ ნებისმიერ შეკითხვას განმარტების თაობაზე, ან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. გამოყავით ნებისმიერი საკითხი, რომელიც მოითხოვს უფრო ღრმა ანალიზს და შეთანხმდით, რომ ამ პუნქტს სავარჯიშოს ბოლოს დაუბრუნდებით.

სავარაუდოდ მონაწილეები მოიყვანენ მაგალითებს, რომელთა შესახებ შეიძლება არ ფლობდეთ ინფორმაციას იმის გამო, რომ ისინი ან ბუნდოვანია ან კერძო შემთხვევებია. ამას არ უნდა მიექცეს ყურადღება. არავინ არ იცის ყველაფერი! თქვენ შეგიძლიათ კითხოთ მონაწილეებს, საიდან აქვთ ეს ინფორმაცია და იმსჯელოთ მის საიმედოობაზე და აუთენტიკურობაზე. ეს, ჭეშმარიტად, საუკეთესო საშუალებაა შეაჩვიოთ მონაწილეები ინფორმაციის კრიტიკულად მიღებას, როგორც ერთ-ერთი ძირითად პრინციპს. ზოგიერთი პასუხი წინააღმდეგობრივი იქნება. მაგალითად, ვინმემ შეიძლება გამოთქვას აზრი, რომ აბორტი სიცოცხლის უფლების წართმევაა. ჯგუფის ერთი ნაწილი, შეიძლება, მტკიცედ დაეთანხმოს ამ აზრს, ხოლო მეორე ნახევარი ასეთივე კატეგორიულობით არ დაეთანხმოს. პირველი, რისი სწავლაც აქედან შეიძლება ისაა, რომ მნიშვნელოვანია ნებისმიერი საკითხის დანახვის მცდელობა ყველა მხრიდან: ეცადეთ გარკვიოთ, რატომ აქვთ მონაწილეებს ის აზრი, რომელიც აქვთ? ინტერესებისა და უფლებების კონფლიქტი ყოველთვის არსებობს (ამ შემთხვევაში კონფლიქტს ადგილი აქვს დედისა და დაუბადებელი ბავშვის ინტერესებსა და უფლებებს შორის). როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს აზრები და უფლებების ინტერპრეტაცია ხალხი ყოველთვის პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს განსხვავებულ აზრს. ისინი შეიძლება არ დაეთანხმონ მათ შეხედულებებს, მაგრამ აუცილებლად პატივი უნდა სცენ პიროვნებას. მეორე გაკვეთილი ამ სავარჯიშოდან ისაა, რომ უნდა ვერკვეოდეთ ადამიანის უფლებებში იმიტომ, რომ ისინი წინააღმდეგობრივია. არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი და სამუდამო გადაწყვეტილება მათი ინტერპრეტაციისა და გამოყენების შესახებ. მათი გადაფასება და განვითარება უნდა ხდებოდეს მუდმივად და უწყვეტად. მაშასადამე, ყველა პასუხისმგებელია იყოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და დამკვიდრების პროცესის განუყოფელი ნაწილი.



**წინადადებები გაგრძელებისათვის:** აიღეთ ერთი ან ორი პასუხი, რომლებმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და განიხილეთ რეალური ცხოვრებისეული დილემები, რომლებიც წამოიჭრება ადამიანის უფლებათა პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბების მცდელობის დროს.

### ვიქტორინის შეკითხვები

ლოკუმენტის დასახელება, რომელშიც დეკლარირებულია ადამიანის უფლებები	განსაკუთრებული უფლება, რომელიც ყველა ბავშვს უნდა გააჩნდეს	წითელი ჯვრის მონათესავე ორგანიზაცია
უფლება რომელიც თქვენს ქვეყანაში ზოგიერთებს წართმეული აქვთ	უფლება რომელიც პირადად თქვენ წაგართვეს	ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია
მოვალეობა, რომელიც ყველას გვაკისრია ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.	დისკრიმინაციის მაგალითი	უფლება, რომელსაც ზოგჯერ ქალებს ართმევენ
ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი პიროვნება	სიცოცხლის უფლების დარღვევა	პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მაგალითი

### დასახელება - დაე ყველას აზრი იყოს მოსმენილი!

აქტივობა #3

მონაწილეთა რაოდენობა - 8-50

ხანგრძლივობა - 115 წუთი

**უფლებება** - განათლების უფლება; აზროვნების თავისუფლებისა და აზრის გამოთქმის უფლება; საკუთარი ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება.

**მიზნები** - განათლების სისტემაზე დაფიქრება და შეფასება, თუ რამდენად აკმაყოფილებს ის ხალხის მოთხოვნილებებს. თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარება; გადაწყვეტილებების დემოკრატიულად მიღების პროცესებში მონაწილეობა სკოლებისა და კლუბების დონეზე. სამართლიანობის ხელშეწყობა და ხალხის ჩართვა მიმდინარე პროცესებში.

#### საჭირო მასალა

- 4 დიდი ზომის ფურცელი და კალმისტრები ოთხ კაციანი ჯგუფისათვის.
- ფურცლები ჩანაწერების გასაკეთებლად, აუცილებლობის შემთხვევაში

**ინსტრუქცია** - სავარჯიშო გაყოფილია ორ ნაწილად

**ნაწილი I. რა სახის განათლება გვესაჭიროება? (35 წუთი)**

1. დაიწყეთ მოკლე ზოგადი მიმოხილვით, რას გულისხმობენ მონაწილეები ტერმინში “განათლება”. მათ უნდა ესმოდეთ, რომ განათლების მიღება ადამიანის უფლებაა.



2. იფიქრეთ განათლების ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ და მიაქციეთ ყურადღება დაფაზე ჩამოწერილ საკვანძო სიტყვები.

*ნაწილი II. დემოკრატიული სისტემების განვითარება, რომელიც ადამიანებს აძლევს აზრის გამოხატვის საშუალება განათლების შესახებ, რომელსაც ლებულობენ (60 წუთი)*

1. სთხოვეთ მონაწილეებს დაბრუნდნენ თავინთ პარტნიორებთან და იმსჯელონ, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება მათ სკოლებში, კოლეჯებში ან კლუბებში. მაგალითად, ვინ იღებს გადაწყვეტილებას რა უნდა ისწავლებოდეს და რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს? როგორ ხდება სკოლის, კლუბის ან კოლეჯის მართვა? როგორ მიიღება საბიუჯეტო და ფინანსური გადაწყვეტილებები? როგორ ხდება პოლიტიკის შემუშავება და შეთანხმება? რამდენად არის გათვალისწინებული ახალგაზრდების აზრი?

2. სთხოვეთ მონაწილეებს შეერთდნენ 4 კაციან ჯგუფებად. შეახსენეთ, რომ მათ აქვთ განათლების უფლება და უფლება ჩაერთონ იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ.

3. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, იფიქრონ დემოკრატიულად არჩეული ორგანოს დადებით და უარყოფით ასპექტებზე, ადგილობრივ დონეზე მათ განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ასეთი სტრუქტურა შეიძლება იყოს სტუდენტური საბჭო სკოლაში, ან კოლეჯში, გამგეობა ახალგაზრდულ ჯგუფში, ან ორგანიზაციაში.

4. ჰკითხეთ ჯგუფს, როგორი იქნებოდა საბჭოს, ან გამგეობის საუკეთესო ფორმა, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას პირადი განათლების შესახებ აზრის გამოთქმასთან დაკავშირებით.

5. შემდეგი ეტაპი დამოკიდებულია ჯგუფის შემადგენლობაზე. თუ მათ სკოლაში, ან კლუბში არ არსებობს საბჭო, მაშინ უნდა მოიფიქრონ რა სახის საბჭოს შექმნა სურთ და, როგორ უნდა მოხდეს მისი დაფუძნება. თუ ჯგუფს უკვე აქვს საბჭო, ან გამგეობა, მაშინ უნდა იმსჯელონ მისი მუშაობის პრინციპებზე და შეიმუშაონ მუშაობის გაუმჯობესების გეგმა. განმარტეთ SWOT ანალიზის არსი და მიეცით ჯგუფს 30 წუთი მოქმედების გეგმის შემუშავებისა და ფურცელზე, ან დაფაზე გადატანისათვის.

6. შეიკრიბეთ პლენარულ სხდომაზე და სთხოვეთ ჯგუფს შეაჯამონ შედეგები.

**დებრიფინგი:** ბევრი აზრი უკვე გამოთქმული იქნება წინა დისკუსიების სხვადასხვა ეტაპებზე. და მაინც, დაუთმეთ დრო სავარჯიშოს განხილვას მთლიანობაში, ზოგადი საგანმანათლებლო მომენტების გააზრებისა და შემდეგი მოქმედებების დასაგეგმად. მოეწონათ მონაწილეებს სავარჯიშო? იყო ის სასარგებლო? რატომ? რატომ არა? რატომ ჩამოყალიბდა გადაწყვეტილებათა მიღების ამგვარი სტრუქტურა? როგორია ისტორიული პრეცედენტები? ასრულებდნენ ეს სტრუქტურები თავის ფუნქციებს წარსულში? რატომ არ არის ის ადეკვატური ამჟამად? რატომ არის საჭირო გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურებისა და პროცედურების რგულარული გადასინჯვა? რა განსხვავებაა ჯგუფების მიერ შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმებს შორის? რა დრო, ენერჯია და ფულია საჭირო გეგმების განსახორციელებლად? რამდენად რეალური იყო გეგმები? (მიაქციეთ ყურადღება: ვრცელი გეგმები კარგია, მაგრამ საჭიროა მიზნისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა!) ამჟამად?

**რჩევები:** ჯგუფის ხასიათიდან გამომდინარე მოგიწევთ განსაზღვროთ, როგორი გზა იქნება საუკეთესო ამ სავარჯიშოების ადამიანის უფლებებთან, უფრო ზუსტად, განათლებისა და განათლების პროცესებში გადაწყვეტილებათა მიღების უფლებასთან დასაკავშირებლად. ამისათვის, შეიძლება, მონაწილეებს სთხოვოთ პირადი ცოდნის გაზიარება, ან თავად გაუზიაროთ საწყისი ინფორმაცია. SWOT-ის ანალიზი აღწერილი და განმარტებულია კომპასის მესამე თავში - “მოქმედებაზე გადასვლა”.



**დამატებითი ინფორმაცია:** რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს სკოლის საბჭოს? - სკოლის საბჭოს ევალუბა მისცეს სტუდენტებს საშუალება, თავისუფლად გამოთქვან აზრი სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ეხებათ. საბჭოს დაარსებისათვის და მისი ეფექტური მუშაობისათვის მრავალი მიზეზი არსებობს.

სკოლის საბჭოში მონაწილეობა ხელს უწყობს მოსწავლეების ცოდნისა და პიროვნების განვითარებას, რადგან: საბჭო ხელს უწყობს მოქალაქეობის, პოლიტიკური ქმედებების და დემოკრატიული დამოკიდებულებების სწავლებას; საბჭო ხელს უწყობს პიროვნების მორალური ფასეულობებისა და სოციალური ურთიერთობის განვითარებას;

**პრაქტიკული სარგებელი:** მენეჯმენტის დემოკრატიული სტილი უკეთ მუშაობს, ვიდრე ავტოკრატიული სისტემები, რადგან ისინი უფრო ეფექტურია, როდესაც წახალისებულია მოსწავლეების პასუხისმგებლობის გრძობა საბჭო ხელს უწყობს თანამშრომლობას, ენერჯის მობილიზებას, და გაუცხოების შემცირებას. საბჭოს შეუძლია გააუმჯობესოს ატმოსფერო სკოლაში: მასწავლებლებს უფრო ენდობიან, სკოლის მოთხოვნებს გაცილებით სამართლიანი საფუძველი აქვს. გარე სოციალური და პოლიტიკური ზეწოლის შედეგად არსებული ნებისმიერი შეზღუდვის მიუხედავად, სტუდენტთა საბჭო უნდა იყოს მასწავლებლების პერსონალის კეთილი ნებისა და გარკვეული ფასეულობების მიმართ თავდადების საუკეთესო დემონსტრირება.

კომპასის სხვა აქტივობების ნახვა (ინგლისურ ენაზე) შეგიძლიათ მისამართზე: <https://www.coe.int/en/web/compass/list-of-activities>

### სახელმძღვანელო - კომპასიტო

**დასახელება:** **იცით თუ არა თქვენი უფლებები?**

**აქტივობა #4**

**თემატიკა:** ბავშვთა უფლებები

**მონაწილეთა რაოდენობა :** 15-20

**დრო/ხანგრძლივობა :** 1,5-2 სთ.

**თემატიკის მოკლე აღწერა:**

- ბავშვის უფლებათა კონვენციის გაცნობა
- დანმარება, რომ ბავშვებმა შეძლონ ყოველდღიურ ცხოვრებას დაუკავშირონ უფლებები
- ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება

**უფლება:** ზოგადად ბავშვთა უფლებები, მაგ. ბავშვის შეხედულებების პატივისცემა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებები, განათლების უფლება, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება და ა.შ

**ამოცანა:** მონაწილეები გაეცნონ ბავშვის უფლებათა კონვენციას; ბავშვებმა შეძლონ ყოველდღიურ ცხოვრებას დაუკავშირონ ადამიანის უფლებები და მიიღონ ინფორმაცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

**მომზადება:** ბარათები წინასწარ უნდა დამუშავდეს რათა დარწმუნდეთ, რომ თავად კარგად იცის ამ პრობლემის შესახებ. მოამზადეთ ბარათების თითო კომპლექტი სადაც ჩანს რომ, დაცულია ბავშვთა უფლებები, პირიქით სადაც ირღვევა და მათი შესაბამისი მუხლები კონვენციიდან ცალ-ცალკე. გამრავლეთ ბავშვთა უფლებების კონვენციის ადაპტირებული ვერსიები.

**მატერიალები/რესურსები:**

- ბავშვთა უფლებათა კონვენცია



- ბარათები (ცხოვრებისეული ფაქტები სადაც ბავშვთა უფლებები ირღვევა ან პირიქით და კონვენციის შესაბამისი მუხლები)
- ფლიჰარტის ქალაქი
- მარკერები
- შესაძლოა წებოს ან წებოვანი ლენტის გამოყენებაც

### **ინსტრუქცია:**

2-4 ჯგუფად (გააჩნია მონაწილეების რაოდენობას) დავყოთ მონაწილეები, გადავცეთ მათ წინასწარ გამზადებული ბარათები, ბავშვთა უფლებათა კონვენცია, ფლიჰარტის ქალაქები, მარკერები და სხვა საჭირო ნივთები. თითო ჯგუფს ექნება 10 ბარათი, (2 ჯგუფის შემთხვევაში) რომლიდან 5 -ში აღწერილია მათი უფლების დაცვის ფაქტი, ხოლო მეორე 5-ში დარღვევის.

მათი დავალებაა ბავშვთა უფლებათა კონვენციიდან შეარჩიონ მუხლები, რომლებიც შეესაბამება ბარათებზე აღწერილ ფაქტებს.

ფლიჰარტის ქალაქებზე მარჯვენა კუთხეში ისინი დააწებებენ ბარათებს (ან დაწერენ ) ხოლო მარცხენა მხარეს მიუწერენ ამ ბარათების შესაბამის მუხლებს, რომელიც ერთ შემთხვევაში, გამომდინარეობს ბარათში აღწერილი ფაქტიდან და ადასტურებს ბავშვთა უფლებების დაცვის ფაქტებს ხოლო მეორე მხრივ იცავს ბავშვებს დარღვეული უფლებებისგან და აღადგენს ამ უფლებებს.

დაახლოებით 20 წუთი ექნებათ დავალების შესასრულებლად. 20 წუთის შემდეგ მათ დაურიგდებათ ბავშვთა უფლებების კონვენციიდან იმ მუხლების ბარათები რომლებიც შეესაბამება მათთვის გადაცემულ ცხოვრებისეულ ფაქტებს და მოუწევთ თანმიმდევრულად დაალაგონ ისინი რისთვისაც 15 წუთი ექნებათ. სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფები გააკეთებენ პრეზენტაციებს. დაახლოებით 10 წუთი. გამარჯვებულია ის გუნდი რომელიც უფრო მეტ მუხლს შეესაბამებს ბარათებს სწორად.

### **დებრიფინგის კითხვები:**

1. რას გრძნობთ?
2. რას ფიქრობთ ამ სავარჯიშოს შესახებ?
3. რა შეიტყვეთ ახალი ადამიანის უფლებათა შესახებ? თქვენი გარემომცველი სამყაროს შესახებ?
4. უცნაურად ხომ არ მოგეჩვენათ ან ხომ არ გეუცხოვათ რომელიმე სიტუაცია ?
5. თუ შეგიძლიათ მოიფიქროთ მსგავსი სიტუაციები, როდესაც უფლებებს იცავენ ან არღვევენ?
6. რომელიმე სიტუაცია ხომ არ გეცნოთ? რომელი? აღწერეთ ის.
7. როგორ ფიქრობთ სად შეიძლება გამოგადგეთ ადამიანის უფლებების ცოდნა?
8. რას მიგაქვთ დღევანდელი სესიიდან? და სად გამოიყენებთ მას ?

**ვარიაცია :** სამაგიდო თამაში- ადამიანის უფლებების შესახებ. ამ ვერსიაში ისევე, როგორც საბავშვო თამაში „გველები და კიბეები“ ბავშვები წინ მიდიან ან უკან გადადიან იმის მიხედვით, თუ რომელ ბარათს იღებენ. თუმცა ამ თამაშში მათ შეუძლიათ განეიტრალება ცუდი ბარათის, თუ დაასახელებენ ბავშვის უფლებას რომელიც ირღვევა. დეტალურად შეგიძლიათ ნახოთ სახელმძღვანელოში - კომპასიტო (147 გვ.)

### **მიმაგრებული დოკუმენტები: დანართი**

#### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 1**



შენი მეგობრის მშობლები ამ ზაფხულს დასცილდნენ ერთმანეთს, მაგრამ შენი მეგობარი ერთი კვირა ერთთან ცხოვრობს, მეორე კი მეორესთან, ვინაიდან თავად გადაწყვიტა ასე.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-12 მუხლი: ბავშვის შეხედულებების პატივისცემა: ბავშვებს აქვთ უფლება, გამოხატონ საკუთარი შეხედულებები, როდესაც უფროსები იღებენ გადაწყვეტილებას იმ საკითხებზე, რომლებიც ბავშვებს ეხება, და მათ შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 2**

თქვენ უკვე შეიტყვეთ, რომ, როდესაც სერიოზული პრობლემა გაწუხებთ, ყოველთვის შეგიძლიათ დახმარება ითხოვოთ. თუ აკრფთ გადაუღებელი დახმარების ნომერს და აუხსნით სიტუაციას, პასუხისმგებელი პირი დაგაკავშირებთ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც შეეცდებიან, დაეხმარონ მიტოვებულ, უგულბელყოფილ ან სხვა პრობლემების მქონე ბავშვებს.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-19 მუხლი: ბავშვის დაცვა ყველანაირი ფორმის ძალადობის, შურაცხყოფისა და უგულბელყოფისგან: მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებზე სათანადო ზრუნვა ხდებოდეს და უნდა დაიცვან ისინი მშობლებისა თუ მათზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა ადამიანების მხრიდან ძალადობის, შურაცხყოფისა და უგულბელყოფისგან.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 36-ე მუხლი: ბავშვის დაცვა სხვა ფორმის ექსპლუატაციისგან ბავშვები დაცულები უნდა იყვნენ ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, რომლებიც ზიანს აყენებს მათ განვითარებას და კეთილდღეობას.

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 3**

შენი მეგობრის კლასში იმ ბავშვებს, რომლებსაც უჭირთ სწავლა, მასწავლებლები დამატებით ეხმარებიან.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 23-ე მუხლი: მუზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები: რაიმე სახის უნარშეზღუდულობის მქონე ბავშვებს უნდა გაეწიოთ სგანგებო ზრუნვა, ხელშეწყობა და მიეწოდოთ განათლება, რათა მათ შეძლონ სავსე და დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრება და საკუთარი შესაძლებლობების სრულად ხორცშესხმა.

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 4**

შენი სკოლის დირექტორმა შეიტყო, რომ ბავშვები თქვენი თემიდან არ დადიან სკოლაში იმის გამო, რომ მათ მშობლებს არა აქვთ იქ ცხოვრების კანონიერი უფლება. დირექტორი შეხვდა მათ და დაარწმუნა, გაეშვათ ბავშვები სკოლაში.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 28-ე მუხლი: განათლების უფლება: ბავშვებს აქვთ განათლების, ანუ სკოლაში სიარულის უფლება... დაწყებითი განათლება უფასო უნდა იყოს.

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 5**

თქვენ გაქვთ უფლება, იცოდეთ საკუთარი უფლებების შესახებ.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 29-ე მუხლი: განათლების მიზნები: განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, უნარ-ჩვევებისა და ნიჭის სრული განვითარებისკენ. განათლება ბავშვებს ცხოვრებისთვის ამზადებს. მან უნდა შთაუწერგოს ბავშვებს თავისი მშობლებისადმი, თავისი და სხვა ერების კულტურული თვითმყოფადობისადმი პატივისცემა.



## **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 6**

მასწავლებლებს შენს სკოლაში არა აქვთ უფლება, გამოიყენონ დასჯის ფიზიკური მეთოდები ან შეურაცხველი ბავშვები, მაშინაც კი, როდესაც ისინი ცუდად იქცევიან.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 28-ე მუხლი: განათლების უფლება: სასკოლო დისციპლინის დამყარებისას აუცილებელია ბავშვების ღირსების მიმართ პატივისცემით მოპყრობა დისციპლინის დასამყარებლად დაუშვებელია ძალადობის (როგორც ფიზიკური, ისე ფსქილოგიური) გამოყენება.

## **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 7**

თქვენს სკოლაში ბევრი კიბეა, მაგრამ ამავე დროს არის ლიფტებიც და პანდუსებიც, რათა იმ ადამიანებმა, ვისაც უჭირს სიარული და იყენებს სპეციალურ სავარძელს, შეძლონ გადაადგილება.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 23-ე მუხლი: მუზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები: რაიმე სახის უნარმუზღუდულობის მქონე ბავშვებს უნდა გაეწიოთ სგანგებო ზრუნვა, ხელშეწყობა და მიეწოდოთ განათლება, რათა მათ შეძლონ სავსე და დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრება და საკუთარი შესაძლებლობების სრულად ხორცშესხმა.

## **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 8**

შენი მეგობრის მამა მძიმე ავარიში მოყვა და დიდი ხნის განმავლობაში ვერ მუშაობდა. სანამ ის გამოჯანმრთელდებოდა, მთავრობა ეხმარებოდა ოჯახს ფულით საკვების შესაძენად და ბინის ქირის გადასახდელად.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 26-ე მუხლი: სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მიერ გაწეული დახმარება: საზოგადოებამ, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს, უნდა უზრუნველყოს მისთვის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ყველა სიკეთე (განათლება, კულტურა, კვება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა), რომელიც ეხმარება ბავშვს განვითარებაში და კარგ პირობებში ცხოვრებაში. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფა გაჭირვებული ოჯახების ბავშვებისთვის.

## **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 9**

თქვენ უკვე შეიტყვეთ, რომ თქვენი უფლებები ომის პერიოდშიც კი დაცული უნდა იყოს და რომ არსებობს სგანგებო შეთანხმებები ამის უზრუნველსაყოფად.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 38-ე მუხლი: შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვების დაცვა: მთავრობებმა არ უნდა დაუშვან, რომ 15 წელს მიუღწეველი ბავშვები მსახურობდნენ ჯარში ან რაიმე სახით პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ სამხედრო მოქმედებებში. გარდა ამისა, საომარ ტერიტორიებზე მყოფმა ბავშვებმა სგანგებო დაცვა უნდა მიიღონ.

## **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 10**

შენს თემში არის საბავშვო ბიბლიოთეკები და სპეციალურად ბავშვებისთვის მომზადებული ჟურნალები, ფილმები, თამაშები და სატელევიზიო შოუები, რაც გაძლევს საშუალებას, შეიტყო და გაიგო, რა ხდება მსოფლიოში.



ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-13 მუხლი: შეხედულებების გამოხატვისა და ინფორმაციის მოძიების, მოპოვებისა და გავრცელების თავისუფლება: ბავშვებს აქვთ უფლება, მოიძიონ, მიიღონ ან გავრცელონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია (ხელოვნების სახით, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, ან გადაცემული ნებისმიერი სხვა სამაუწყებლო საშუალებით), თუკი ეს ინფორმაცია არ არის საზიანო მათთვის ან სხვა ადამიანებისთვის.

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 11**

სამწუხაროდ, ოპერაციის გაკეთება მოგიწევს. მაგრამ საბედნიეროდ, შენ გაქვს უფლება, მიიღო სგანგებო დაცვა და ზრუნვა და იმის უფლებაც კი გაქვს, რომ რომელიმე შენი მშობელი ან სხვა ადამიანი, ვინც გიყვარს, შენთან ერთად იყოს!

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 24-ე მუხლი: ჯანმრთელობის დაცვისა და მომსახურების მიღების უფლება: ბავშვებს აქვთ უფლება, ავადმყოფობისას მიიღონ მაღალი ხარისხის ჯანმრთელობის დაცვა, რაც გამოხატულია მედიკამენტებით, საავადმყოფოთი და ექიმებით. ბავშვებს ასევე აქვთ უფლება, ჰქონდეთ სუფთა სასმელი წყალი, კარგი საკვები და სუფთა გარემო, რათა ისინი ჯანმრთელი იყვნენ. მდიდარი ქვეყნები უნდა დაეხმარონ უფრო ღარიბებს ამ მიზნის მიღწევაში.

### **საპირისპირო**

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 1**

შენმა მეგობარმა დაკარგა ერთი ფეხსაცმელი, მაგრამ არა აქვს ახალი წყვილის შესაძენად საკმარისი ფული, სკოლაში ამბობენ, რომ არ დაიშვებიან ფეხშიშველი ბავშვები.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 27-ე მუხლი: ცხოვრების სათანადო დონე: ბავშვებმა უნდა იცხოვრონ კარგ პირობებში, რომლებიც აუცილებელია მათი ფიზიკური და გონებრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მთავრობები უნდა დაეხმარონ ამ მიზნის მიღწევაში იმ ოჯახებს, რომელთაც არა აქვთ ამის შესაძლებლობა.

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 2**

შენი თანაკლასელის მშობლები ბოშები არიან. მათი ოჯახი პრობლემებს აწყდება საცხოვრებელი ადგილის ძიებისას, ვინაიდან ადამიანები ამბობენ: „ისინი ჩვენგან განსხვავებულები არიან“.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-2 მუხლი: დისკრიმინაციის აკრძალვა: კონვენციით გათვალისწინებული უფლებები ეხება ყველას, რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, შესაძლებლობების განურჩევლად და მიუხედავად იმისა, რას ფიქრობენ თუ ლაპარაკობენ ისინი, რა ენაზე ლაპარაკობენ და რა წარმომავლობისა არიან; სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ბავშვები ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან.

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 3**

შენ შეიტყვე, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვებს აიძულებენ ომში წავიდნენ საბრძოლველად. მათ შიათ, სწყურიათ და ძალიან უშინიათ.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 38-ე მუხლი: შეიარაღებული კონფლიქტებით დაზარალებული ბავშვების დაცვა: მთავრობებმა არ უნდა დაუშვან, რომ 15 წელს მიუღწეველი ბავშვები

მსახურობდნენ ჯარში ან რაიმე სახით პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ სამხედრო მოქმედებებში. გარდა ამისა, საომარ ტერიტორიებზე მყოფმა ბავშვებმა საგანგებო დაცვა უნდა მიიღონ.

#### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 4**

ერთი გოგონა შენს სკოლაში მოდელია. ის ბევრ ფულს შოულობს, მისი ფოტოები ჟურნალებში იბეჭდება, მაგრამ ხშირად აცდენს სკოლას და არა აქვს საშინაო დავალების შესრულების ან მეგობრებთან თამაშის დრო. ის ნამდვილად დაღლილად გამოიყურება.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 32-ე მუხლი: ბავშვთა შრომა: მთავრობებმა უნდა დაიცვან ბავშვები სახიფათო შრომისგან ან ისეთი შრომისგან, რომელმაც შეიძლება ავნოს მათ ჯანმრთელობას ან განათლებას ან გამოიწვიოს მათი ექსპლუატაცია.

#### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 5**

სკოლაში მხოლოდ სახელმწიფო ენაზე ლაპარაკის უფლება გვაქვს. სხვა ენაზე მოლაპარაკე ბავშვებს სჯიან, თუ ისინი თავიანთ ენაზე დაილაპარაკებენ, სათამაშო მოედანზეც კი.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 30-ე მუხლი: უმცირესობებისა და მკვიდრი მოსახლეობის ბავშვები: ბავშვებს უფლება აქვთ, ისწავლონ და გამოიყენონ მშობლიური ენა და საკუთარი ოჯახების წეს-ჩვეულებები, მიუხედავად იმისა, იზიარებს თუ არა ამ ენასა და წეს-ჩვეულებებს ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა.

განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, უნარ-ჩვევებისა და ნიჭის სრული განვითარებისკენ. განათლება ბავშვებს ცხოვრებისთვის ამზადებს. მან უნდა შთაუნერგოს ბავშვებს თავისი მშობლებისადმი, თავისი და სხვა ერების კულტურული თვითმყოფადობისადმი პატივისცემა.

#### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 6**

შენს თემში არის სკოლა, სადაც კარგად ხვდებიან ბავშვებს სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი ოჯახებიდან, მაგრამ ცუდი თვალთ უყურებენ ბავშვებს, რომელთა ოჯახები არაა ვითარ რელიგიას არ მისდევენ.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-14 მუხლი: აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება: ბავშვებს აქვთ უფლება, იფიქრონ და სჯეროდეთ იმის, რაც უნდათ და მისდინ საკუთარ რელიგიას, თუკი ისინი არ უშლიან სხვა ადამიანებს ხელს მათი უფლებების განხორციელებაში. მშობლებმა უნდა უხელმძღვანელონ ბავშვებს ამ საკითხებში.

ან

ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-2 მუხლი: დისკრიმინაციის აკრძალვა: კონვენციით გათვალისწინებული უფლებები ეხება ყველას, რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, შესაძლებლობების განურჩევლად და მიუხედავად იმისა, რას ფიქრობენ თუ ლაპარაკობენ ისინი, რა ენაზე ლაპარაკობენ და რა წარმომავლობის არიან; სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ბავშვები ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან.

#### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 7**



შენი მეგობრის მშობლები შარშან გაეყარნენ ერთმანეთს. დედა არ აძლევს მას არც მამის და არც ბებია-ბაბუის ნახვის უფლებას. მას ძალიან ენატრება მამა.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-9 მუხლი: მშობლებისგან დაშორება: ბავშვები არ უნდა დაშორდნენ მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ, მაგალითად, მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვებს და არ ზრუნავენ მათზე. ბავშვებს, რომელთა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, აქვთ უფლება, კონტაქტი იქონიონ ორივე მშობელთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამან შეიძლება ზიანი მოუტანოს ბავშვს. მთავრობებს ეკისრებათ ოჯახიდან წასული წევრის ადგილსამყოფელის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების პასუხისმგებლობა.

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 8**

ერთი შენი თანაკლასელი გოგონა ვერასოდეს თამაშობს სკოლის შემდეგ, მას არც სწავლისთვის აქვს დრო რადგან უმცროსი და-ძმის მოვლა უწევს.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, 31-ე მუხლი: დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება ყველა ბავშვს აქვს დასვენებისა და თამაშის უფლება, ასევე გასართობ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.

ან ბავშვის უფლებათა კონვენცია, 32-ე მუხლი: ბავშვთა შრომა: მთავრობებმა უნდა დაიცვან ბავშვები სახიფათო შრომისგან ან ისეთი შრომისგან, რომელმაც შეიძლება ავნოს მათ ჯანმრთელობას ან განათლებას ან გამოიწვიოს მათი ექსპლუატაცია.

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 9**

შენი თანაკლასელი ბიჭი უარს ამბობს საუზმის შემდეგ დალაგებაში მოხმარებაზე. მისი თქმით, „დალაგება გოგოების საქმეა“

ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-2 მუხლი: დისკრიმინაციის აკრძალვა: კონვენციით გათვალისწინებული უფლებები ეხება ყველას, რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, შესაძლებლობების განურჩევლად და მიუხედავად იმისა, რას ფიქრობენ თუ ლაპარაკობენ ისინი, რა ენაზე ლაპარაკობენ და რა წარმომავლობისა არიან; სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ბავშვები ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან.

### **ბარათი ადამიანის უფლებების შესახებ 10**

ბიჭებს შენს სკოლაში საფეხბურთო გუნდიც აქვთ და მრავალი სხვა სპორტული კლუბიც, გოგონებს კი საერთოდ არა აქვთ.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-2 მუხლი: დისკრიმინაციის აკრძალვა: კონვენციით გათვალისწინებული უფლებები ეხება ყველას, რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, შესაძლებლობების განურჩევლად და მიუხედავად იმისა, რას ფიქრობენ თუ ლაპარაკობენ ისინი, რა ენაზე ლაპარაკობენ და რა წარმომავლობისა არიან; სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ბავშვები ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან.

**დასახელება: დაიპყარი ციხე-სიმაგრე**

**აქტივობა #5**

**მონაწილეთა რაოდენობა : 15-20**

**თემატიკა: მშვიდობა და ადამიანების უსაფრთხოება**



**უფლება:** მშვიდობისა და უსაფრთხოების უფლება

**დრო/ხანგრძლივობა:** 60 წუთი

**თემატიკის მოკლე აღწერა:** ბავშვები წარმოადგენენ ბრძოლის მონაწილე სხვადასხვა ჯგუფს და გასამარჯვებლად სჭირდებათ ორგანიზება. შემდეგ ისინი მსჯელობენ კონფლიქტის მონაწილე სხვადასხვა მხარეს არსებული სხვადასხვა გრძნობის, კონფლიქტის მიზეზებისა და არსებული მექანიზმების შესახებ რის შედეგადაც მათ ჩამოუყალიბდებათ თანაგრძნობა კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარის მიმართ, ითანამშრომლებენ ერთმანეთთან, აღიქვამენ კონფლიქტისას არსებული ემოციებს და შეძლებენ უფრო მეტად განვივითარონ სტრატეგიული აზროვნებისა და დაგეგმარების უნარ-ჩვევები.

**ამოცანა:**

- ჩამოუყალიბდეთ თანაგრძნობა კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარის მიმართ ითანამშრომლონ ერთმანეთთან
- კონფლიქტისას არსებული ემოციები აღიქვან
- სტრატეგიული აზროვნებისა და დაგეგმარების უნარ-ჩვევების განვითარებას შეუწყონ ხელი

**მომზადება:** თუ თამაში მიმდინარეობს გარეთ, დაათვალიერეთ გარემო და მკაფიოდ მონიშნეთ სამოქმედო არე. განსაზღვრეთ პოტენციურად სახიფათო ადგილები და აჩვენეთ ისინი ბავშვებს და ჯგუფების ლიდერებს. მოამზადეთ წარმოდგენითი სამოქმედო გეგმა, თითოეული სხვადასხვა ფერის ფურცელზე. დაჭრით ისინი ათ ნაწილად და ჩაღეთ თითოეული მათგანი ცალკე კონვერტში.

**მატერიალები/რესურსები:**

- დიდი სივრცე, რომელიც ბავშვებს მისცემს სირბილის და დამალვის საშუალებას.
- 6 წარმოდგენითი სამოქმედო გეგმა, თითოეული სხვადასხვა ფერის ფურცელზე, დაჭრილი ათ ნაწილად.
- 3 სხვადასხვა განმასხვავებელი ნიშანი 3 განსხვავებული ჯგუფისთვის (მაგალითად, სახის გასაფერადებელი საღებავები ან მკვეთრი ფერების ლენტები).
- გამაგრებული სასმელები თამაშის დასრულების შემდეგ.

**ინსტრუქცია:**

1. მოუყვით ბავშვებს ლამაზი ქალაქის შესახებ, რომლის ცენტრშიც განლაგებულია ციხე-სიმაგრე. ქალაქს აკონტროლებს „იასამნისფერი პარტია“, მაგრამ არსებობს ორი მოწინააღმდეგე ჯგუფი, რომლებსაც უნდათ ქალაქის დაპყრობა და ციხე-სიმაგრის აღება. ეს ჯგუფებია „ლურჯი პარტია“, რომელიც მოემართება სამხრეთიდან, და „ნარინჯისფერი პარტია“ - ჩრდილოეთიდან.

2. დაყავით ბავშვები სამ ჯგუფად: 50% - „იასამნისფერები“, 25% - „ლურჯები“ და 25% - „ნარინჯისფერები“. მიეცით „ლურჯ პარტიას“ და „ნარინჯისფერ პარტიას“ სამ-სამი „სამოქმედო გეგმა“ თითოეულს.

3. კარგად აუხსენით ბავშვებს თამაშის წესები ისე, რომ ყველასთვის გასაგები გახდეს, რომ:

ა. თამაშის განმავლობაში ყველა უნდა დარჩეს მონიშნულ საზღვრებში;

ბ. თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოაწყოს ბანაკი მონიშნულ საზღვრებში; არცერთ ჯგუფს არა აქვს მეორე ჯგუფის ტერიტორიაზე შესვლის უფლება. ქალაქი, რომელსაც „იასამნისფერი პარტია“



იცავს, უნდა იდგეს ზუსტად ტერიტორიის შუა ადგილას. აქეთ-იქიდან განლაგებული უნდა იყოს „ლურჯების“ და „ნარინჯისფერების“ პარტიები.

გ. ციხე-სიმაგრის ასაღებად ორი მოწინააღმდეგე პარტია უნდა ეცადოს ერთმანეთში „სამოქმედო გეგმების“ გაცვლას. ყოველ მათგანს აქვს სამ-სამი სხვადასხვა ფერის ფურცლებზე დაწერილი გეგმა. თითოეული დაჭრილია 10 ნაწილად. თითოეული ამ ნაწილთაგანი ცალ-ცალკე უნდა იქნეს გადატანილი მოწინააღმდეგეების ერთი ბანაკიდან მეორეში. ერთ ჯერზე შეიძლება მხოლოდ ერთი ნაჭრის წაღება. „ლურჯებს“ არა აქვთ „ნარინჯისფერების“ ნაჭრების გადატანის უფლება და პირიქით. ნაჭრის გადაცემა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა „ლურჯი“ ან „ნარინჯისფერი“ კურიერი მიაღწევს მოკავშირის ბანაკს.

დ. ციხე-სიმაგრის დასაცავად „იასამნისფერებმა“ ხელი უნდა შეუშალონ მოწინააღმდეგეებს მათი „სამოქმედო გეგმის“ ერთმანეთისთვის გადაცემაში. ისინი ცდილობენ მათ დაჭერას და მათი გეგმების ნაწილების წართმევას. „დაჭერა“ ნიშნავს უბრალოდ მხარზე ან ხელზე შეხებას.

ე. დაჭერილ მომხვდურს აქვს მხოლოდ ორი არჩევანი: 1) მისცეს თავისი გეგმის ფურცელი „იასამნისფერებს“ და კვლავ შეუერთდეს თავის პარტიას; 2) უარი თქვას გეგმის ფურცლის გადაცემაზე და დარჩეს „ტყვედ ქალაქში თამაშის ბოლომდე ან ფურცლის „იასამნისფერებისთვის“ გადაცემამდე. „ლურჯ“ და „ნარინჯისფერ“ პარტიებს შეუძლიათ ერთმანეთის დახმარება.

3. გეგმის ფურცლების დანახვა ყველას უნდა შეეძლოს გადატანისას.

ზ. ორი ან სამი წამყვანი არ მიიღებს მონაწილეობას თამაშში. ისინი ყურადღებას მიაქცევენ ყველა წესის დაცვას.

თ. თუ „ლურჯი“ ან „ნარინჯისფერი“ პარტია შეკრებს ყველა ათ ნაწილს და, ამგვარად, მათ ექნებათ მთლიანი სამოქმედო გეგმა, მათ შეუძლიათ მიიღონ „იასამნისფერი პარტიის“ სამოქმედო გეგმის ყველა ნაწილი, ეს კი ნიშნავს გამარჯვებას! თუ „იასამნისფერი პარტია“ მოახერხებს „ლურჯების“ ან „ნარინჯისფერების“ გეგმის ათივე ნაწილის ხელში ჩაგდებას, მაშინ შესაბამისი ჯგუფი გამოეთიშება თამაშს. მიუხედავად ამისა, დარჩენილ პარტიას მაინც შეუძლია წარმატების მიღწევა: თუ იგი შეძლებს მთლიანი გეგმის მიტანას მეორე ბანაკში, მაშინ გამარჯვება დარჩებათ მათ და თამაშიდან გავარდნილ პარტიას.

ი. თამაში მთავრდება მაშინ, როცა იმარჯვებს ერთ-ერთი პარტია, ან როცა იწურება წამყვანის მიერ თამაშისთვის გამოყოფილი დრო.

### **ღებრიფინგის კითხვები:**

#### **1. ზოგადი კითხვები**

- ა. რას გრძნობთ?
- ბ. რა მოუვიდა თქვენს სამოქმედო გეგმას?
- გ. მოახერხეთ მთლიანი გეგმის მოპოვება? როგორი იყო თქვენი სტრატეგია?
- როგორ იღებდით გადაწყვეტილებას?
- დ. ყველა მონაწილეობდა თამაშში? იყო თუ არა სხვადასხვა როლები?
- ე. რას ფიქრობთ ორ დანარჩენ პარტიაზე?
- ვ. „ლურჯები“ და „ნარინჯისფერები“ შეიკრნენ ერთად თუ ებრძოდნენ ერთმანეთს? როგორ იმოქმედა ერთად მოქმედებამ საერთო შედეგზე?
- ზ. იბრძოდნენ „ლურჯები“ და „ნარინჯისფერი“ პარტიები „იასამნისფერი პარტიის“ წინააღმდეგ თუ პირიქით? თუ კი, რატომ? საიდან იღებდა კონფლიქტი სათავეს?



- თ. ჰგავდა სიტუაცია რეალურს? ცნობილია თუ არა თქვენთვის რაიმე მსგავსი ნამდვილი სიტუაცია? რა მიზეზების დასახელება შეგიძლიათ ასეთ კონფლიქტებთან დაკავშირებით რეალურ ცხოვრებაში?
- ი. როგორ გგონიათ, როგორ უნდა შეიცვალოს ასეთი სიტუაცია? როგორ შეიძლება ამგვარი კონფლიქტების თავიდან აცილება?
- კ. რაიმე სხვა კონფლიქტი თუ გაგიგიათ კიდეც? რას აკეთებთ (საერთოდ თუ აკეთებთ რაიმეს) ამგვარი კონფლიქტის მოსაგვარებლად?
- ლ. როგორ ჩნდება კონფლიქტები? რისი გაკეთება შეგიძლია ამ კონფლიქტების თავიდანასაცილებლად, გადასაჭრელად, სამართავად და/ან მშვიდობის დასაცავად (განხილული მაგალითებიდან გამომდინარე)?

**2. დაუკავშირეთ თამაში ადამიანის უფლებების დაცვას ისეთი კითხვების დახმარებით, როგორიცაა:**

- ა. რომელია ადამიანის ის ზოგიერთი უფლება, რომელიც შეიძლება დაირღვეს კონფლიქტისას? შეიარაღებული კონფლიქტისას?
- ბ. როგორ ზეგავლენას ახდენს თითოეულ მხარეზე მათი უფლებების დარღვევა? როგორ შეიძლება ამან იმოქმედოს მათზე მომავალში?
- გ. როგორ მოქმედებს კონფლიქტი ბავშვებზე? როგორ იმოქმედებს ეს მათ მომავალზე?
- დ. რისი გაკეთება შეიძლება კონფლიქტების და ადამიანების უფლებათა დარღვევის თავიდან ასაცილებლად?
- ე. შეიძლება თუ არა ყველა კონფლიქტის გადაჭრა? თუ არა, რა დახმარების გაწევა შეუძლია ადამიანის უფლებების დაცვას ინდივიდებისთვის კონფლიქტის მართვის საქმეში?

**ვარიაცია : (ადაპტირებული ვარიანტი)**

Ø თუ ერთი ჯგუფი ან ერთი ბავშვი სხვებზე სუსტია, შესთავაზეთ დახმარება შესაძლო სტრატეგიასთან დაკავშირებით (მაგალითად, დაუზუსტეთ, სამოქმედო გეგმის უკვე რამდენმა ნაწილმა მიაღწია მეორე ბანაკში; ურჩიეთ, გარისკოს გეგმის რამდენიმე ნაწილის დაკარგვა, რაც გადაარჩენს დანარჩენებს; არ გაგზავნოს გეგმის ყველა ნაწილი თამაშის დასაწყისშივე, არამედ შეინახოს რამდენიმე მათგანი თამაშის რიტმის კარგად შეგრძნებამდე).

Ø ვინმეს უბრალოდ „დაჭერის“ ნაცვლად, ჩართეთ დამატებითი თამაშები მას შემდეგ, რაც „იასამნისფერი პარტია“ დაიჭერს „ლურჯი“ ან „ნარინჯისფერი“ პარტიების წევრს (მაგალითად, შეხვედრისას ითამაშონ „ქვა, ქალღი, მაკრატელი“; თუ „იასამნისფერი“ გაიმარჯვებს, მაშინ „ლურჯი“ ან „ნარინჯისფერი“ დაუთმობს მას გეგმის ნაწილს, ხოლო თუ გაიმარჯვებენ „ლურჯი“ ან „ნარინჯისფერი“, „იასამნისფერი“ გაათავისუფლებს მათ). ეს ეფექტიანია მაშინ, როცა ბავშვები განსხვავდებიან ასაკით და ფიზიკური მომზადებით, ვინაიდან თამაში პატარებს და უფრო სუსტებს თანაბარ შანსს აძლევს.

**დასახელება: ბიჭები არ ტირიან! ხოლო გოგონები უფრო საზრიანები არიან**

**აქტივობა #6**

**თემატიკა:** დისკრიმინაცია, გენდერული თანასწორობა, ადამიანის ზოგადი უფლებები  
**მონაწილეთა რაოდენობა:** 15-20

**უფლება:** დისკრიმინაცია, გენდერული თანასწორობა, ადამიანის ზოგადი უფლებები



**დრო/ხანგრძლივობა:** 60 წუთი

**ამოცანა:** ხელი შეუწყოს გენდერული სტერეოტიპების და გენდერული თანასწორობის განხილვას, შემწყნარებლობას და იმის ილუსტრირებას, თუ როგორ წარმოშობს სტერეოტიპი გენდერულ უთანასწორობას.

**მომზადება:**

- ✓ აირჩიეთ ჩამონათვალიდან სამი განცხადება ან დაწერეთ ახალი
- ✓ მოამზადეთ 4 ნიშანი: „ვეთანხმები“, „არ ვიცი“, „ვფიქრობ“, „არ ვეთანხმები“
- ✓ მოათავსეთ თითოეული ნიშანი ოთახის კუთხეებში
- ✓ აირჩიეთ დამატებითი განცხადებები სკეტიჩში გამოსაყენებლად
- ✓ და დაწერეთ ცალკე ფურცლებზე

**მატერიალები/რესურსები:** ფურცლები ნიშნებისთვის, ქაღალდის ზოლები განცხადებებისთვის

**ინსტრუქცია:**

პირველი ნაწილი: პოზიციის დაკავება

1. აუხსენით ბავშვებს სავარჯიშოს პირველი ნაწილი:

ა. ოთახი დაიყო ოთხკუთხედ. თითოეულ კუთხეში არის ნიშანი: „ვეთანხმები“, „არ ვიცი“, „ვფიქრობ“, „არ ვეთანხმები“

ბ. ხმამაღლა და სათითაოდ წაიკითხეთ სამი სხვადასხვა განცხადება. ბავშვები კუთხეებში იკავებენ პოზიციას იმის მიხედვით, ეთანხმებიან, არ ეთანხმებიან, აზრი არ გააჩნიათ თუ მეტი დაფიქრება სჭირდებათ.

2. წაიკითხეთ პირველი განცხადება და დაიცადეთ, სანამ ბავშვები პოზიციას აირჩევენ. შემდეგ ჰკითხეთ სხვადასხვა კუთხეში მყოფ ბავშვებს, რატომ აირჩიეს ეს კონკრეტული პოზიცია. უთხარით ბავშვებს, შეიცვალონ პოზიცია, თუ სხვათა არგუმენტების მოსმენის შემდეგ აზრს შეიცვლიან. სამივე განცხადების შემთხვევაში გაიმეორეთ ეს პროცესი.

3. კვლავ ერთ ჯგუფად გააერთიანეთ ბავშვები და იმსჯელეთ სავარჯიშოს ამ ნაწილზე:

1. რამემ ხომ არ გაგაოცათ ამ სავარჯიშოსთან დაკავშირებით?
2. როგორ ფიქრობთ, რატომ აქვთ ადამიანებს განსხვავებული აზრი ამ
3. განცხადებებთან დაკავშირებით?
4. ხომ არ შეგაცვლევინათ აზრი ვინმეს არგუმენტებმა? რატომ?
5. როგორ გავიგოთ, რომელი პოზიციაა სწორი?

მეორე ნაწილი: პოზიციის გათამაშება

4. დაყავით ბავშვები პატარა ხუთკაციან ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს მიეცით განსხვავებული განცხადება. აუხსენით, რომ მათ აქვთ 15 წუთი განცხადების წასაკითხად, მსჯელობისთვის და მოკლე სკეტიჩის დასადგმელად (მინი სპექტაკლი), რომელიც ამ განცხადების შესახებ გზავნილს შეიცავს.

5. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, წარმოადგინოს თავისი სკეტიჩი. ყოველი პრეზენტაციის შემდეგ ჰკითხეთ აუდიტორიას, რა გზავნილის გადმოცემას ისახავდა მიზნად ეს პრეზენტაცია. შემდეგ ჰკითხეთ პრეზენტაციის ავტორებს, რა გზავნილის გადმოცემა სურდათ მათ.

### **ღებრიფინგის კითხვები:**

#### **1. იმსჯელეთ გენდერული სტერეოტიპების შედეგების შესახებ და დასვით შემდეგი კითხვები:**

ა. რა საერთო ჰქონდა ამ განცხადებებს? ხომ არ იცით ამის მსგავსი სხვა განცხადებები?

ბ. არის თუ არა განსხვავებული წესები და მოთხოვნები ბიჭების ან გოგონებისთვის ამ ჯგუფში? საკლასო ოთახში ან სკოლაში? ოჯახში? რა დამოკიდებულება აქვთ ამის მიმართ?

გ. შეგიძლიათ გამოთქვათ სხვა მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორები უნდა იყვნენ გოგონები და ბიჭები ან რა უნდა აკეთონ მათ? არის თუ არა მსგავსი იდეები ჩვენი ქვეყნის სხვა ნაწილებში? ევროპაში? მსოფლიოში?

დ. რა ხდება, როდესაც რომელიმე ბიჭი ან გოგონა არ ეთანხმება ამ იდეებს და სურს სხვანაირი იყოს ან სხვანაირად მოიქცეს? თუ ყოფილხართ მსგავს სიტუაციაში? როგორ გრძნობდით თავს? როგორ მოიქცით?

ე. ისევე მოქმედებს თუ არა ზრდასრულ ადამიანებზე იდეები იმის თაობაზე, თუ როგორები უნდა იყვნენ მამაკაცები და ქალები, როგორც ბავშვებზე?

#### **2. დაუკავშირეთ გენდერული სტერეოტიპები დისკრიმინაციას და დასვით შემდეგი კითხვები:**

ა. რამდენად ზღუდავს იდეები მამაკაცების და ქალების თაობაზე ჩვენს არჩევანს? შეგიძლიათ მაგალითების დასახელება?

ბ. რა გავლენას ახდენს ეს შეზღუდვები ადამიანის უფლებებზე?

გ. რისი გაკეთება შეგიძლია მომავალში, რომ ბიჭები და გოგონები უფრო თავისუფლად მოქმედებდნენ, თუ ამის სურვილი აქვთ?

**ვარიაცია:** სავარჯიშოს შემოკლების მიზნით მხოლოდ თქვენი ჯგუფისთვის მისადაგებული ნაწილი გაითამაშეთ. სკეტიჩის წარმოდგენას სჯობია, სთხოვოთ ბავშვებს, მოაწყონ ვიზუალური პრეზენტაცია (მაგალითად, ნახატები, მულტიფილმები, კოლაჟები ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათებით და ა.შ.)

### **განცხადებების ნიმუშები**

- თოჯინები მხოლოდ გოგონებს აქვთ
- ბიჭები არ ტირიან
- ბიჭები არ ატარებენ ქვედა ბოლოებს
- გოგონა ვერ იქნება ხელმძღვანელი პირი
- ფეხბურთს მხოლოდ ბიჭები თამაშობენ
- გოგონები სუსტები არიან, ბიჭები ძლიერები
- გოგონები ეხმარებიან დედებს, ბიჭები – მამებს



- სჯობია გოგო იყო, ვიდრე ბიჭი
- როდესაც რამე დაშავდება, პირველ რიგში ბიჭებს ადანაშაულებენ
- ბიჭებს შეუძლიათ უზრდელი სიტყვების თქმა, გოგონებს \_ არა
- გოგონები უფრო საზრიანები არიან, ვიდრე ბიჭები
- გოგონები იგებენ ჩხუბში, რადგან `ბინძური` ხერხებით ჩხუბობენ
- ბიჭებისთვის ნორმალურია ერთმანეთს რომ ურტყამენ, გოგონებისთვის \_ არა
- ბიჭები უფრო ზარმაცები არიან, ვიდრე გოგონები
- გოგონები უფრო მატყუარები არიან, ვიდრე ბიჭები

## სახელმძღვანელო ყველა თანასწორი ყველა განსხვავებული

### დასახელება - არამი და ალი

#### აქტივობა #7

თემატიკა - სტერეოტიპები

მოკლე აღწერა თემატიკის: 1-2 პარაგრაფი - უნდა შევისწავლოთ სხვადასხვა ადამიანების სახე, განსხვავებული კულტურიდან და სოციალური ჯგუფიდან.

დრო/ხანგრძლივობა: 30 წუთი

მონაწილეთა რაოდენობა: 8-10 მონაწილე ჯგუფში (2 ჯგუფი, დიდი ჯგუფის შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ჯგუფების შექმნა)

მატერიალები/რესურსები: ბურთი, კალამი და ქაღალდი დამკვირვებლისთვის, ფლიპჩარტი და მარკერები.

#### ინსტრუქცია:

1. სთხოვეთ მონაწილეებს წრეში დაჯდომა, ხოლო ერთ მათგანს იყოს დამკვირვებელი. აუხსენით, რომ იჯდეს წრის გარეთ. ჩაინიშნეთ და დაწერეთ ამბავი, რომელიც შეიქმნება.
2. დანარჩენ ჯგუფს აუხსენით, რომ ისინი ერთად აპირებენ კოოპერატიული სიუჟეტის შექმნას. ამისთვის ისინი ბურთს გამოიყენებენ
3. შემდეგ თქვით: "ეს არის ისტორია არამზე, სომეხი ახალგაზრდა ბიჭის შესახებ" და იწყებთ ისტორიას არამზე. ისტორიის გასაგრძელებლად გადასცემს ბურთს სხვა მონაწილეს, რომელიც ერთ ან ორი წინადადებით განაგრძობს ისტორიას. შემდეგ ის სხვა მონაწილეს გადასცემს და ა.შ
4. გააგრძელეთ ისე, რომ სიუჟეტი კოოპერაციულად იყოს აგებული.
5. 10 ან 12 მოქმედების შემდეგ ითხოვეთ ბურთი და თქვით: "არამი იცნობს აზერბაიჯანელ ალის, რომელსაც ასევე აქვს ამბავი" და ბურთს უკან გადასცემთ, რომელიმე მონაწილეს წრიდან, რათა სთხოვეთ მათ დაიწყონ ალის ამბის მოყოლა.
6. აქტივობა დასრულდება დაახლოებით 10 ან 15 წუთის შემდეგ

**დებრიფინგის კითხვები:** სთხოვეთ დამკვირვებელს, წაიკითხოს მის მიერ აღებული ჩანაწერები ისტორიების შესახებ. ჰკითხეთ მონაწილეებს რისი თქმა შეიძლება ამ ორი ისტორიის მოსმენის შემდეგ. მიყევით კომენტარებს, თუ როგორ ეხება ეს რეალურ სურათს, რეალურ სამყაროში სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების შემთხვევაში. აღწერეთ ძირითადი მოსაზრებები ფლიპჩარტზე. იკითხეთ საიდან მოდის ეს შეხედულებები. ყველას ჰქონდა თუ არა სომეხის და აზერბაიჯანელის მსგავსი მაგალითი? რატომ? რატო არა?

**რჩევები ფასილიტატორისთვის:** უმჯობესია, თუ მოთხრობა სპონტანურად და სწრაფი რიტმით გაკეთდება. ამ შემთხვევაში დამკვირვებელს შეიძლება გაუჭირდეს ყველაფრის დაფიქსირება. ეს პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მეორე დამკვირვებლის ყოლით ან სიუჟეტის ფირზე ჩაწერით.

მნიშვნელოვანია, რომ საქმიანობა თავდაპირველად წარმოდგენილ იქნას, უბრალოდ, როგორც თანამშრომლობის ამბავი.

მოქმედება ჯგუფს მიჰყავს იმ თემისკენ, რომლის შესწავლაც სურთ. ამიტომ, თუ მაგალითად, თქვენ გსურთ იმუშაოთ ემიგრანტების გარშემო უნდა აირჩიოს სახელები, რომლებიც ტრადიციულად ასოცირდება ემიგრანტებთან. თუ გსურთ გაუმკლავდეთ მამაკაცებისა და ქალების მაგალითებს, აირჩიეთ მამაკაცის და ქალის სახელები. ეს საქმიანობა შეიძლება მოერგოს ნებისმიერ სიტუაციას, სადაც არსებობს დისკრიმინაცია. სცენის დადგმისას მოთხრობის პირველ წინადადებაში: "ეს არის ფრენკის ისტორია, ახალგაზრდა ჰომოსექსუალი ... "ან" ეს არის მარია, რომელიც ფიზიკურად ინვალიდია ... " და შეადარეთ ის საზოგადოების ძირითადი ნაწილის ისტორიას. ის რაც გავრცელებულია რეალობაში.

#### **ვარიაცია:**

1. ჯგუფი დაყავით ორ გუნდად და თითოეულ ჯგუფს სთხოვეთ მხოლოდ ერთ ისტორიაზე მუშაობა. ამის შემდეგ შეადარეთ ეს ორი. ამ ვარიაციას აქვს უპირატესობა, რადგან მონაწილეებს არ აქვთ ეჭვი, რომ მოთხრობები შედარებულია. მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეები დაყოფილი იყვნენ ქვეჯგუფებად შემთხვევითობის პრინციპით.

2. ჩამოაყალიბეთ ორი ქვეჯგუფი და თითოეულ ჯგუფს სთხოვეთ დახატონ ან დაწერონ ბიოგრაფია, ან ისტორიის ერთ – ერთი პერსონაჟის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტი. ამის შემდეგ შეადარეთ ორი ბიოგრაფია ან მოთხრობა ერთმანეთს.

#### **დასახელება - დისკრიმინაციის გაზიარება**

##### **აქტივობა #8**

**დრო/ხანგრძლივობა:** 45 წუთი

**მონაწილეთა რაოდენობა:** ნებისმიერი, თუ ჯგუფი ძალიან დიდია, ის დაყავით 6 - 8 ქვეჯგუფებად.

**მატერიალები/რესურსები:** ფლიპჩარტები და მარკერები

**თემატიკა:** დისკრიმინაცია - ცრურწმენისა და დისკრიმინაციის გამოვლინება ჩვენს საზოგადოებაში, როგორ გაუმკლავდეთ რთულ სიტუაციებს მტკიცედ.

#### **ამოცანები:**

- უფრო მეტის ცოდნა დისკრიმინაციაზე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში
- ემპათიის ხელშეწყობა მათ მიმართ, ვინც დისკრიმინაციულია
- დაეხმაროს ხალხს ისწავლოს როგორ უნდა იყოს თვითდაჯერებული

#### **ინსტრუქცია:**

1. სთხოვეთ თითოეულ ადამიანს, მოიფიქროს ერთი შემთხვევა, როდესაც მათ დისკრიმინაცია განიცადეს ან ერთი სიტუაცია, როდესაც მათ დაინახეს, რომ სხვისი დისკრიმინაცია განხორციელდა.

2. შემოიარეთ გარშემო და სთხოვეთ თითოეულ ადამიანს ძალიან მოკლედ აღწეროს მათი მდგომარეობა

3. ჩამოთვალეთ ყველა სიტუაცია ფლიპჩარტზე და შემდეგ სთხოვეთ ჯგუფის წევრებს აირჩიონ ერთი-ერთი განსახილველად

4. სთხოვეთ ადამიანს, რომლის სიტუაციაც აირჩიეს, უფრო დეტალურად აღწეროს რა მოხდა



## 5. შემდეგ ისაუბრეთ:

- როგორ შეიქმნა სიტუაცია და რა მოხდა სინამდვილეში
- როგორ გრძობდა თავს დისკრიმინაციული პირი
- როგორ გრძობდა თავს ის ვინც არის დისკრიმინაციის განმახორციელებელი.
- როგორ გამოეხმაურნენ ისინი და რა მოხდა ინციდენტის შემდეგ

6. დასასრულს სთხოვეთ ჯგუფს, თქვან, რისი გაკეთება შეეძლოთ იმავე სიტუაციაში და შეიმუშავეთ რეაგირების სხვა შესაძლო გზები.

## ლებრიფინგი - ზოგადად დისკრიმინაციაზე საუბარი:

- რომელია ყველაზე გავრცელებული მიზეზი, რის გამოც ადამიანები განგასხვავებენ? თქვენი ასაკის, კანის ფერის ან ტანსაცმლის?
- რატომ უწევენ დისკრიმინაციას ადამიანები განსხვავებულებს?
- სად სწავლობენ ისინი ამ საქციელს?
- რამდენად მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის გამოწვევა?

**რჩევები ფასილიტატორისთვის:** ხალხმა უნდა იფიქროს რეალურ სიტუაციებზე, რომელსაც ისინი განიცდიან, მაგრამ შენ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არავინ არ უნდა იგრძნოს ზეწოლის ქვეშ თავი. არ თქვან ის, რაც მათ თავს არაკომფორტულად აგრძნობინებთ. ჩვეულებრივ, ადამიანები ნეგატიურ დისკრიმინაციაზე საუბრობენ, მაგრამ იცოდეთ ამ საკითხების შესახებ დადებითი დისკრიმინაციის საკითხი შეიძლება დადგეს.

## ვარიაციები:

1. გამოიყენეთ როლური თამაში სიტუაციის შესასწავლად. სთხოვეთ წყვილს ან მცირე ჯგუფს როლური თამაში. ხოლო დანარჩენები აკვირდებიან. შემდეგ სთხოვეთ დამკვირვებლებს შესთავაზონ წინადადება სიტუაციაში შესაძლო ალტერნატიული რეაგირება. შეასრულეთ წინადადებები და საკითხის შემდგომი განხილვა.

2. ყველას სთხოვეთ, ფურცელზე ჩამოწერონ სიტუაციის მოკლე მიმოხილვა. ქაღალდები ქუდში ჩაყარონ. ჩამოატარეთ ქუდი და თითოეულმა აიღოს ერთი ქაღალდი. შეკარით წრე და თითოეულს სთხოვეთ, წაიკითხოს რაც ფურცელზე წერია. ყველას სთხოვეთ გამოიცნონ თითოეულის გრძნობები ნაწერისდა მიხედვით.

## დასახელება - **Dreams (ოცნებები)**

### აქტივობა #9

**თემატიკა:** თანასწორობა/სოლიდარობა

**თემატიკის აღწერა:** თანასწორობა კულტურული ან ეთნიკური წარმოშობის მიღმა; სოლიდარობა და თანაგრძნობა ჯგუფის წევრებს შორის

**დრო/ხანგრძლივობა:** 1 საათი

**მონაწილეთა რაოდენობა:** ნებისმიერ 6-დან 40-მდე

**მატერიალები/რესურსები:** ფლიპჩარტები და მარკერები (თითო ჯგუფზე თითო)

### ამოცანები:

- ჯგუფში თანასწორობის ხაზგასმა
- სოლიდარობისა და თანაგრძნობის გამომუშავება და პოზიტიური ატმოსფეროს შექმნა
- თანამშრომლობის წახალისება

### ინსტრუქცია:

1. როგორ დააორგანიზებ აქტივობას დამოკიდებულია თქვენი ჯგუფის ზომაზე. თუ ის არის

საშუალო ზომის ჯგუფი (10 ადამიანი) აკეთებს ამას, როგორც brainstorming. თუ ჯგუფი დიდია, დაყავით ხალხი 5-6 კაცის მცირე ჯგუფებად.

2. უთხარით, რომ პირველი ხუთი წუთი გაატარონ საკუთარ თავზე საუბარში და ასახონ თუ როგორ სურთ ყოფნა მომავალში - ოჯახის, სამსახურის, ჰობის, საცხოვრებლის თვალსაზრისით. პირადი განვითარება, სამოქალაქო უფლებები და ა.შ.

3. შემდეგ სთხოვეთ მონაწილეებს, გაიზიარონ თავიანთი ოცნებები და მისწრაფებები. მათ უნდა ჩამოწერონ, ან სასურველია დახატონ ფლიპჩარტზე. მაგ. სამსახურის, მოგზაურობის, შვილების ყოლის, სახლის და ა.შ.

4. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, წარმოადგინონ თავიანთი ნახატები ან ნაწერები პლენარულ სხდომაზე.

5. გააგრძელეთ ინდივიდუალურად ან ჯგუფებში სთხოვეთ მონაწილეებს, გამოავლინონ 3 კონკრეტული რამ, რაც ხელს უშლის მათ მისწრაფებას და 3 კონკრეტული რამ, რაც მათ, როგორც ჯგუფს (ან ორგანიზაციას) ერთად შეუძლიათ გააკეთონ, ისე რომ ახლოს იყვნენ თავიანთი ოცნებებთან.

**დებრიფინგი** - სთხოვეთ ხალხს, რომ გაიზიარონ ის გრძნობები, რაც მათ განიცადეს ამის გაკეთების დროს. მიჰყევით კითხვებს:

- რაიმე რამაც გააკვირვა?
- ყველას უნდა ჰქონდეს საკუთარი მისწრაფებების და ოცნებების ქონის უფლება?
- ზოგს შეიძლება მეტი შანსი ჰქონდეს, ვიდრე სხვებს? ვის?
- და რატომ? არის ეს სამართლიანი?
- როგორ შეგიძლიათ მხარი დაუჭიროთ ერთმანეთს პრაქტიკაში, ბარიერების გადალახვაში და აისრულო საკუთარი ოცნებები?

**რჩევები ფასილიტატორისთვის:** ეს საქმიანობა შეიძლება იყოს კარგი სტიმული ჯგუფისა და ინდივიდუალური პირებისათვის. ისინი ახერხებენ დააზუსტონ თავიანთი ოცნებებს და განსაზღვრონ პრაქტიკული გზები, რისი კეთებაც ერთად შეუძლიათ. მნიშვნელოვანია ამ კოლექტიური მიდგომის ხაზგასმა ინდივიდუალური ხარვეზების დასაძლევად მაგ "არ ვიცი როგორ მოვიქცე ესა თუ ის "... მე არ მაქვს ინსტრუმენტები .."

აქტივობა უკეთესად იმუშავებს, თუ ხედვები შემოქმედებითად იქნება შედგენილი. თუ ჯგუფს აქვს სირთულეები ხატვისას, შეგიძლიათ გამოიყენოთ კოლაჟის ტექნიკა ძველი ფერადი ჟურნალები, მაკრატლები და წებო. გარდა ამისა, შეგიძლიათ მოიწვიოთ ადამიანები, რათა წარმოადგინონ თავიანთი ხედვა, როგორც მოკლე დრამა (ესკიზი). ნებისმიერი მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებითი და სპონტანურ გამოსატყვას. სასურველია მხოლოდ წერილობითი ან ვერბალური კომუნიკაცია.

უფრო ადვილია რასიზმის, ქსენოფობიის და ანტისემიტიზმის კავშირი, თუ ეს ჯგუფი არის მრავალ კულტურული. ვინაიდან, კითხვა „როგორ ფიქრობთ, ყველას აქვს ოცნებების განხორციელების უფლება“ უნდა დაეხმაროს დისკუსიის წარმართვაში.



## სახელმძღვანელო - Have Your Say

### დასახელება - მონაწილეობის კიბე

#### აქტივობა #10

თემატიკა - მონაწილეობა

მონაწილეთა რაოდენობა - ნებისმიერი რაოდენობის

უფლება - მონაწილეობის უფლება

დრო/ხანგრძლივობა - 90 წუთი.

ამოცანა

- ახალგაზრდების მონაწილეობის შესაძლო ხარისხის ასახვა
- მონაწილეობის კიბის კონეფციის დანერგვა
- ჩარჩოს შექმნა ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხის შეფასების მიზნით

**მომზადება** - როჯერ ჰარტის მონაწილეობის კიბის დიდი სურათი უნდა იყოს დახატული ქაღალდზე. ( ან ფირზე გაკეთებული, იატაკზე)

#### ინსტრუქცია

1. ახსენით ახალგაზრდობის მონაწილეობის ხარისხის/დონის კონეფცია და მონაწილეობის კიბის მოდელი.
2. სთხოვეთ მონაწილეებს დაფიქრდნენ იმაზე, თუ მონაწილეობრივი კიბის რომელ საფეხურზე ყოფნა წარმოადგენს საუკეთესოდ ახალგაზრდების მონაწილეობის ხარისხს მათ პროექტში ან საზოგადოებაში.
3. სთხოვეთ მონაწილეებს დადგნენ შესაბამის საფეხურზე.
4. გაესაუბრეთ მონაწილეებს: მონაწილეობის კიბის რომელ საფეხურზე ჩანს თქვენი პროექტი ? საიდან იცით ?
5. მოიწვიეთ ახალგაზრდები, იფიქრონ შესაძლო გზებზე იმის დასამტკიცებლად, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ უფრო მეტად ჩართულები იყვნენ მათ პროექტებში.
6. ინდივიდუალური რეფლექსია: მსჯელობის დროს წარმოშობილი რომელი იდეები შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენს პროექტში ? რატომ და როგორ ?

**დებრიფინგის კითხვები** - კითხეთ მონაწილეებს შემდეგი კითხვები:

1. რამდენად გამოსადეგად მიგაჩნიათ მონაწილეობის კიბის გამოყენება თქვენი მუშაობის პროცესში და თქვენს სიტუაციაში.
2. რა არის ამ მოდელის შეზღუდვები?
3. ახსენით რომ ამ აქტივობის მიზანი არ არის მიაღწიოთ უმაღლეს რანგს მონაწილეობის კიბეზე, უმაღლესი რანგი არ ნიშნავს საუკეთესო რანგს. ასევე შეგიძლიათ რიცხვების მაგივრად სხვა ფორმა მისცეთ რანგების განლაგებას ( მაგ: ყვავილის ფორმა)

**ვარიაცია** - ეს აქტივობა არ ეხება მხოლოდ ახალგაზრდულ პროექტებს, ის ასევე ეხება ახალგაზრდების ჩართულობას განსხვავებულ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში.

**მიმაგრებული დოკუმენტები:** მონაწილეობის კიბის კონეფციის აღწერა

## მონაწილეობის კიბე - განმარტება

**8. თანამენეჯმენტი** - პროექტი და იდეა ინიცირებულია ახალგაზრდების მიერ, რომლებიც იწვევენ ზრდასრულებს განხორციელების და თანამენეჯმენტის პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

**7. ახალგაზრდების ინიცირებული და მართული** - პროექტი ან იდეა ინიცირებული და მართულია ახალგაზრდების მიერ, ჩართულები არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში მაგრამ შეიძლება პროექტი განხორციელდეს მათი მონაწილეობის გარეშე.

**6. უფროსების ინიცირებული, ახალგაზრდების ჩართვა მონაწილეობის პროცესში** - უფროსების მიერ ინიცირებული მაგრამ ახალგაზრდები მონაწილეობას იღებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და პასუხისმგებლობების გადანაწილებაში.

**5. კონსულტაცია** - პროექტი ინიცირებული და მართულია უფროსების მიერ მაგრამ ახალგაზრდები ინფორმირებულები არიან, სთავაზობენ ახალ იდეებს და ხსნიან ამ იდეების საჭიროებას პროექტში, მაგრამ განმახორციელებელი წყვეტს გაითვალისწინებს თუ არა რჩევებს.

**4. ინფორმირებულობა** - პროექტი მართული უფროსების მიერ, ახალგაზრდები მიწვეულები არიან მონაწილეობის მისაღებად და როლების მოსარგებად პროექტში. ისინი ფლობენ ინფორმაციას პროექტის შესახებ.

**3. ტოკენიზმი** - ახალგაზრდებს აქვთ გარკვეული როლი პროექტში მაგრამ მათ არ აქვთ არჩევანის თავისუფლება.

**2. დეკორაცია** - ახალგაზრდებს არ აქვთ რეალური როლი პროექტში. ისინი საჭიროები არიან ორგანიზატორისთვის მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოჩინდეს ახალგაზრდული ჯგუფის დაინტერესება პროექტის პროცესში.

**1. მანიპულაცია** - ახალგაზრდებს იწვევენ პროექტში ისე რომ არ აყენებენ საქმის კურსში, არ ითვალისწინებენ მათ აზრს. ამის საფუძველია ორგანიზატორის პირადი ინტერესები.

## დასახელება - დანები და ჩანგლები

### აქტივობა #11

**თემატიკა:** მონაწილეობის პრინციპები

**მონაწილეთა რაოდენობა:** 6-20

**დრო/ხანგრძლივობა:** 60 წუთი

ამოცანა

- გააცნო მონაწილეებს მონაწილეობის პრინციპები
- გამოცდილება იყო სიტუაციაში, სადაც მონაწილეობა არის გამოწვევა

**მომზადება:** მონაწილეების ჯგუფში იპოვეთ ერთი ადგილი რომელიც გაუზიარებს სხვებს თამაშის საიდუმლო წესებს.

**მატერიალები/რესურსები:** დანა და ჩანგალი, ფლიპ ჩარტი, ქაღალდი, კალამი

### ინსტრუქცია:

1. მონაწილეები სხდებიან წრეზე
2. უთხარი მონაწილეებს, რომ მონაწილეობის წესებს ახსნით მხოლოდ ერთხელ ამიტომ მოუსმინონ ყურადღებით



3. აუხსენით, რომ გსურთ მონაწილეები კონცენტრირდნენ, იმაზე თუ როგორ გრძნობენ თავს თამაშის პროცესში
4. მონაწილეებს მოეთხოვებათ დადონ დანა და ჩანგალი გვერდით მჯდომთან ისე რომ მათ გადაკვეთონ ერთმანეთი. თქვენ უნდა უთხრათ მთელ ჯგუფს არის თუ არა დანა და ჩანგალი გადაკვეთილი. ამის შემდეგ ფასილიტატორი გეტყვით ხართ თუ არა მართლები.
5. არ მისცეთ ზედმეტი ინსტრუქციები მონაწილეებს იმ შემთხვევაშიც კი თუ მათ აქვთ ბევრი შეკითხვა.
6. ფასილიტატორი იწყებს საქმიანობას, მთავარი საიდუმლო წესი ის არის, რომ გადაკვეთა ან არ გადაკვეთა არ არის დამოკიდებული დანებისა და ჩანგლების პოზიციაზე, ის დამოკიდებულია ფეხების პოზიციაზე. დანა და ჩანგალი შეიძლება განთავსდეს ისე, რომ მონაწილეებს არ მოეწონოთ მაგრამ ისინი მართებულები იქნებიან მხოლოდ მაშინ თუ მათი მოქმედება დაემთხვევა ფეხების პოზიციას.
7. ათი წუთის სემდეგ შეწყვიტეთ თამაში და მონაწილეებს მიეცით ემოციების გამოხატვის საშუალება.
8. ჰკითხეთ მათ, ვინც ვერ მიხვდნენ თამაშის საიდუმლო წესს როგორ გრძნობდნენ თავს. მათი პასუხები ჩამოწერეთ ფლიპჩარტზე.
9. ჰკითხეთ მათ, ვინც აღმოაჩინა თამაშის საიდუმლო წესი, როგორ გრძნობენ თავს და პასუხები ჩაინიშნეთ.
10. სთხოვეთ ჯგუფიდან ერთ-ერთ მონაწილეს თამაშის საიდუმლო წესი აუხსნას სხვა მონაწილეებს.
11. ჰკითხეთ მონაწილეებს ვინც აღმოაჩინა საიდუმლო წესი რატომ არ გაუზიარეს სხვა მონაწილეებს (ამას ისინი ხშირად არ აკეთებენ)

### **ღებრიფინგის კითხვები**

1. ჰკითხეთ მონაწილეებს რა საერთოს ხედავენ მათ გამოცდილებასა და სავარჯიშოს შორის. მონაწილეობის რომელი ასპექტები იყო ამ სავარჯიშოში ?
2. მონაწილეები დაყავით პატარა სადისკუსიო ჯგუფებათ (2-4 ჯგუფი) და კითხეთ შემდეგი კითხვები:
  1. როდესაც უძალოდ ვარ მე ვგრძნობ...
  2. იმათ მიმართ ვინც მაძლევს ძალას, ვგრძნობ...
  3. მაგალითები არის...
  4. ჩვენ არ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ, როდესაც..
3. თუ ორზე მეტი ჯგუფია უთხარით მათ იმუშაონ ერთად A და B ჯგუფთან. მათ უნდა გაუზიარონ აზრები ერთმანეთს და ჩამოწერონ ფლიპჩარტზე.
4. ჯგუფებმა წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის შედეგები.
5. იმსჯელეთ მონაწილეობის და არ მონაწილეობის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

**ვარიაცია:** ღებრიფინგის განხილვა შეიძლება ფოკუსირებული იყოს ინფორმაციის გაზიარების როლზე, ფაქტები და წესები რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევს ცაერთონ თამაშში.

### **დასახელება - RMSOS**

#### **აქტივობა #12**

**მონაწილეთა რაოდენობა - 15-30**

**დრო/ხანგრძლივობა - 40 წუთი**

**მომზადება - მარტივი პრეზენტაცია ამ მოდელის შესახებ**

**მატერიალები/რესურსები - ფლიპჩარტი**

## ამოცანა

- ასახოს ცნებები, ფარგლები და ახალგაზრდული მონაწილეობის განსხვავებული გზები
- გაანალიზოს მონაწილეობის სხვადასხვა კონეფციის შესაბამისობა მონაწილის მუშაობაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში
- დაიწყოს დებატები ახალგაზრდების დამოკიდებულების შესახებ მონაწილეობაზე

## ინსტრუქცია

1. გააცანით RMSOS ხუთი კომპონენტი: უფლება - საშუალება - სივრცე - შესაძლებლობა- მხარდაჭერა
2. დაუავით ჯგუფები სამ ან ექვს მონაწილედ და თითოეულ მათგანს მიეცით ერთი კომპონენტი განსახილველად დაუსვით შემდეგი კითხვები:
  - რას ნიშნავს ეს კომპონენტი ?
  - რა შედეგები მოაქვს მონაწილეობის კონეფციას ?
3. სთხოვეთ ჯგუფებს მოამზადონ კრეატიული პერფომანსი ამ კომპონენტის შესახებ (სიმღერა, ლექსი, სკეჩი)
4. ჯგუფებმა წარმოადგინონ საკუთარი პერფომანსი
5. კითხეთ სხვა მონაწილეებს RMSOS, რომელი ელემენტი იყო წარმოდგენილი პერფომანსში

## დებრიფინგი- მონაწილეებს დაუსვით შემდეგი კითხვები

1. რა ისწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ ამ სავარჯიშოთი ?
2. როგორ წარმოჩინდება RMSOS მოდელი შენს რეალობაში?

## ციფრული ახალგაზრდული საქმიანობა - აპლიკაციები

### Kahoot!



**Kahoot!** არის საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელიც ემყარება თამაშებსა და შეკითხვებს. ამ ინსტრუმენტის საშუალებით შესაძლებელია შექმნან კითხვარები, დისკუსიები ან ტესტები. ამ თამაშით მონაწილე იღებს სხვადასხვა ინფორმაციას, ამავედროულად ფასდება ობიექტურად.

სანამ დაიწყებთ აღნიშნული აპლიკაციით სარგებლობას, გაითვალისწინეთ შემდეგი:

- ✓ Kahoot.it - ით ხდება მონაწილეობის მიღება
- ✓ Kahoot.com-ით ხდება ახალი ქვიზის შექმნა.
- ✓ Kahoot APP - აპლიკაციის ხდება ირივე მონაწილეობაც და შექმნაც

Kahoot! ძალიან სახალისოა, რაც ზრდის ახალგაზრდების ჩართულობას. მისი დინამიური, სოციალური და სახალისო საგანმანათლებლო გარემო ერთნაირად საინტერესოა ყველასათვის, მასში ერთნაირი ხალისით ერთვებიან, როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე ზრდასრულებიც. მოსახერხებელია საინტერესო და სახალისო გამოკითხვის საწარმოებლად, ასევე შეიძლება გავაკეთოთ ქვიზები, ტესტები,

აღნიშნული პლატფორმის გამოყენება დავალების შესრულების სახით შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად.



გამოყენების წესი/რჩევები - Kahoot!-ში გამოკითხვის დასაწყებად საკმარისია დავიწყოთ ჩვენ მიერ წინასწარ შექმნილი ტესტი, ავტომატურ რეჟიმში მოხდება კონკრეტულ ტესტირებაში ჩასართავად აუცილებელი კოდის გენერირება, რომელიც უნდა შეიყვანონ Kahoot.it გვერდზე (შესაძლებელია აპლიკაციის გადმოტვირთვაც) და სინქრონულ რეჟიმში მიიღონ მონაწილეობა გამოკითხვაში. აქვს უფასო და ფასიანი პაკეტი. უფასო პაკეტი მხოლოდ ორი ტიპი შეკითხვის („მართალია თუ ტყუილია“ და არჩევანი ოთხი შესაძლო პასუხიდან) შექმნის შესაძლებლობას გვაძლევს, თუმცა შესაძლებელია ტესტების ვიზუალური მასალით (ვიდეო/სურათი) გამდიდრებაც, რაც საკმაოდ მრავალფეროვან დატვირთვას სძენს კითხვარს.

აღნიშნულ ლინკზე იხილავთ ვიდეო ინსტრუქციას, როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს პლათფორმა (ვიდეო არის ინგლისურ ენაზე): <https://www.youtube.com/watch?v=pANtMqNWBek>

kahoot!-ის თამაშის უკეთ გასააზრებლად იხილეთ ვიდეო შემდეგ ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=7XzfWHdDS9Q>

## Mentimeter



### Mentimeter

**Mentimeter** - მას აქვს წინასწარ შექმნილი შაბლონების ბაზა (შეფასების კითხვარები, ყინულის დნობის აქტივობები, ტესტები, ლექციისა თუ ტრენინგის შეფასების კითხვარები და ა.შ.) რომელთა არჩევაც შეგვიძლია მიზნებიდან გამომდინარე.

Mentimeter-ში შეგვიძლია შევქმნათ სახალისო და ინტერაქტიული გამოკითხვები და ქვიზები, რომელთა გამოყენებაც სწავლების პროცესს სახალისოდ აქცევს.

- [mentimeter.com](https://www.mentimeter.com) არის აპლიკაცია სადაც ვქმნით აქტივობას
- [menti.com](https://www.menti.com) - ზე კი კოდის საშუალებით ვიღებთ მონაწილეობას დავალების შესასრულებლად.

გასათვალისწინებელია ის რომ [mentimeter.com](https://www.mentimeter.com) ზე ყველა შაბლონი არაა უფასო. მაგ: 2 კითხვა და 5 quiz შეგვიძლია გამოვიყენოთ უფასოდ. ვიდეო ინსტრუქცია: <https://cutt.ly/6mDXPrQ>


მენტიმეტრის გამოყენებისას უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

- არსებოს ორი საიტი ერთი კონტენტის (კითხვების) შექმნისთვის მეორე მონაწილეობისთვის
- არსებობს ასევე აპლიკაცია რომელიც განკუთვნილია მხოლოდ მონაწილეობისთვის

ახალგაზრდულ საქმიანობაში მისი გამოყენება შეგიძლია ტრენინგის ჩატარების ბოლოს შეფასებისას ან დასაწყისში ცოდნის გასაზომად.

Mentimeter-ის მიზანია სახალისო თამაშების შექმნა ცოდნის შეჯამებისათვის, შეფასებისთვის და აუდიტორიის გაცნობისთვის, აუდიტორიის შესახებ სტატისტიკის შექმნა.

## Goosechase



ეს აპლიკაცია განკუთვნილი გუნდის შეკვრისა და სივრცის გაცნობისთვის.

მისიების შესასრულებლად, მონაწილეები აპის საშუალებით აგზავნიან ფოტოებს. ამოცანები შეიცვლება და ზოგჯერ შეიძლება შეიცავდეს უცხო ადამიანებთან საუბარს და მათი დარწმუნებაც კი, რომ მონაწილეობა მიიღონ თამაშში. თითოეულ მისიას აქვს დადგენილი დრო, სივრცე, მნიშვნელობა და გუნდი (ან ადამიანი), რომელსაც თამაშის ბოლოსთვის ყველაზე მეტი ქულა აქვს, იმარჯვებს. ადმინს შეუძლია ქულების მინიჭება და კომენტარების დაწერა.

თამაში უფასოა, თუ მას მცირე გუნდთან ერთად ჯგუფებში გამოიყენებთ, ხოლო GooseChase გთავაზობთ ფასიან პაკეტებს დიდი ჯგუფებისთვის. გუნდის შეკვრა დავალებების საშუალებით, იძლევა პროცესის მართვის შესაძლებლობებს ქულების მინიჭების საშუალებით.

GooseChase ის გამოყენება შეიძლება ტრენინგის ან დაგეგმილი ღონისძიების დასაწყისში ასევე ბოლოს დასრულებისას (შეჯამებისას). ვიდეო ინსტრუქცია: <https://cutt.ly/NmD1ZHV>

## დანართი #1

### პროგრამა დღიურად გაწერილი

პროგრამა / დღე 1			
	აქტივობის აღწერა	120 წუთი	პასუხისმგებელი
1	რეგისტრაცია	5	
2	ენერჯაიზერი - ბზიკობა	5	
3	თემატიკის შესავალი - პროგრამის წარდგენა	10	
4	აქტივობა - გამოიცანი ტყუილი	15	
5	წესები - ბრენსტორმინგი	10	
6	გუნდის შეკვრა - Goosechase (წინასწარ გადმოწერონ აპი)	30	
7	შესვენება	10	
8	მოლოდინები, შიშები (ბრენსტორმინგი)	15	
9	შემდეგი შეხვედრის თემატიკა და დღის წესრიგი	10	
10	შეჯამება/დებრიფინგი + ფოტო	15	

პროგრამა / დღე 2			
	აქტივობის აღწერა	120 წუთი	პასუხისმგებელი
1	რეგისტრაცია + წინა დღე	10	
2	ენერჯაიზერი პრინცესა და დრაკონი	5	
3	თემატიკის შესავალი უფლებები (კაჭუტი 5 კითხვა)	15	
4	აქტივობა (ადამიანის უფლებების ბინგო)	25	
5	შეჯამება/დებრიფინგი	15	
6	შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	

პროგრამა / დღე 3			
	აქტივობის აღწერა	120 წუთი	პასუხისმგებელი
1	რეგისტრაცია + წინა დღეს განხილვა	5	
2	ენერჯაიზერი - დრაკონი პრინცესა და რაინდი	5	
3	თემატიკის შესავალი kahoot (მინიმუმ 5 კითხვა) აპლიკაციის გადმოწერა	15	
4	აქტივობა (ალტერნატივა გაგვაჩნია - კომპასი)	60	
	შესვენება	10	
5	შეჯამება/დებრიფინგი	15	
6	შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	



<b>პროგრამა / დღე 4</b>		
<b>აქტივობის აღწერა</b>	<b>120 წუთი</b>	<b>პასუხისმგებელი</b>
1 რეგისტრაცია	5	
2 ენერჯაიზერი - ცეკვის ლიდერი	5	
3 თემატიკის შესავალი სტერეოტიპი (მენტი) აპლიკაციის გადმოწერა	20	
4 აქტივობა (არამი და ალისა)	30	
5 შეჯამება/დებრიფინგი	20	
6 სტერეოტიპების ჩამოწერა ქაღალდზე ანონიმურად	20	
7 შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	

<b>პროგრამა / დღე 5</b>		
<b>აქტივობის აღწერა</b>	<b>120 წუთი</b>	<b>პასუხისმგებელი</b>
1 რეგისტრაცია	5	
2 ენერჯაიზერი (დაითვალე სწრაფად)	10	
3 თემატიკის შესავალი დისკრიმინაცია (გუსჩეისი, ვიდეოს გადმოწერა)	30	
შესვენება	10	
4 აქტივობა (გააზიარე დისკრიმინაცია)	50	
5 შეჯამება/დებრიფინგი	15	
6 შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	

<b>პროგრამა / დღე 6</b>		
<b>აქტივობის აღწერა</b>	<b>120 წუთი</b>	<b>პასუხისმგებელი</b>
1 რეგისტრაცია + წინა შეხვედრის გახსენება	5	
2 ენერჯაიზერი - მოამზადე პიცა	10	
3 თემატიკის შესავალი - (კაჭუტი 5 კითხვა)	15	
4 აქტივობა (თანასწორობა და სოლიდარობა)	60	
5 შესვენება	10	
6 შეჯამება/დებრიფინგი	15	
7 შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	

<b>პროგრამა / დღე 7</b>		
<b>აქტივობის აღწერა</b>	<b>120 წუთი</b>	<b>პასუხისმგებელი</b>
1 რეგისტრაცია + წინა შეხვედრის გახსენება	5	
2 ენერჯაიზერი - დახატეთ პორტრეტი	10	
3 თემატიკის შესავალი მენტიმეტრი	10	
4 აქტივობა (იცი თუ არა თქვენი უფლებები)	60	
5 შეჯამება/დებრიფინგი	15	
6 შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	

<b>პროგრამა / დღე 8</b>		
<b>აქტივობის აღწერა</b>	<b>120 წუთი</b>	<b>პასუხისმგებელი</b>
1 რეგისტრაცია + წინა დღის გახსენება	5	

2	ენერჯაიზერი - ჯეირანი	10	
3	თემატიკის შესავალი დებატი, agree not agree, kahoot	20	
4	აქტივობა (ბიჭები არ ტირიან)	60	
5	შეჯამება/დებრიფინგი	15	
6	შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	

**პროგრამა / დღე 9**

	აქტივობის აღწერა	120 წუთი	პასუხისმგებელი
1	რეგისტრაცია + წინა შეხვედრის გავლა	10	
2	ენერჯაიზერი - სკამები გუნდის შეკრვა	10	
3	თემატიკის შესავალი (მშვილობა) კუნძული ან პირამიდა	15	
4	აქტივობა (დაიპყარი ციხე სიმაგრე)	50	
5	შეჯამება/დებრიფინგი	15	
6	შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	

**პროგრამა / დღე 10**

	აქტივობის აღწერა	120 წუთი	პასუხისმგებელი
1	რეგისტრაცია + წინა შეხვედრის გავლა	10	
2	ენერჯაიზერი - ტოსტერი, ჯეიმს ბონდი	5	
3	თემატიკის შესავალი დისკუსია	10	
4	აქტივობა (დანა ჩანგალი)	60	
5	შეჯამება/დებრიფინგი	15	
6	შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	

**პროგრამა / დღე 11**

	აქტივობის აღწერა	120 წუთი	პასუხისმგებელი
1	რეგისტრაცია + წინა შეხვედრის გავლა	10	
2	ენერჯაიზერი - პინგვინი და ფლამინგო	5	
3	თემატიკის შესავალი დისკუსია	10	
4	აქტივობა (კიბე)	60	
5	შეჯამება/დებრიფინგი	15	
6	შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	

**პროგრამა / დღე 12**

	აქტივობის აღწერა	120 წუთი	პასუხისმგებელი
1	რეგისტრაცია + წინა დღე	10	
2	ენერჯაიზერი - ბუმჩა	10	
3	თემატიკის შესავალი ბრეიმშტომრინგი	10	
4	აქტივობა (RMSOS model ვიდეობის გადაღება)	60	
5	შეჯამება/დებრიფინგი	15	
6	შემდეგი შეხვედრის დაგეგმვა + ფოტო	10	